# სამართალმცოდნეობა



# B1+

## სავარჯიშო რვეული

2017

ქვანიას სკოლა

# სამართალმცოდნეობა

## სავარჯიშო რვეული

# B1+

თბილისი
2017

## „სამართალმცოდნეობა“ B1+ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
**თამარ შარაბიძე**

დარგობრივი ექსპერტი:
**ნინო გულეიშვილი**

ავტორები:
**დავით გოცირიძე**
**ინგა სანიკიძე**
**გიორგი უგულავა**
**თამარ შარაბიძე**
**თაია ცხადაია**

რედაქტორები:
**ინგა სანიკიძე**
**თამარ შარაბიძე**
**თაია ცხადაია**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფში“

ყაზბეგის 24გ. ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-618-7

სამართალმცოდნეობა – სარჩევი

**თავი I სამართლისა და კანონის მნიშვნელობა**.....4
ნაწილი 1 მორალი და კანონი.....4
ნაწილი 2 კანონი.....8
ნაწილი 3 სახელმწიფოს ძირითადი კანონი.....14

**თავი II ქვეყნის მართვა, მმართველობის ფორმები, უფლებები და თავისუფლებები**.....19
ნაწილი 1 ქვეყნის მართვა..... 19
ნაწილი 2 ქვეყნის მმართველობის ფორმები.....24
ნაწილი 3 ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.....29

**თავი III სამოქალაქო ურთიერთობები**.....35
ნაწილი 1 ფიზიკური და იურიდიული პირები.....35
ნაწილი 2 ქონება და საკუთრება.....40
ნაწილი 3 ვალდებულება და ხელშეკრულება.....6

**თავი IV სამართლისა და კანონის მნიშვნელობა**.....51

**თავი V საოჯახო სამართალი**.....59
ნაწილი 1 ქორწინება.....59
ნაწილი 2 ოჯახი.....64
ნაწილი 3 შვილები.....69

**თავი VI შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები**.....74
ნაწილი 1 დამსაქმებელი და დასაქმებული.....74
ნაწილი 2 შრომის ხელშეკრულება.....79
ნაწილი 3 შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, გაფიცვა.....84

**თავი VII სასამართლო**.....89
ნაწილი 1 სამოქალაქო სამართლის სუბიექტები.....89
ნაწილი 2 დანაშაული და სასჯელი. სისხლის სამართლის სუბიექტები.....94
ნაწილი 3 დანაშაული მოხდა – რა უნდა ვიცოდეთ ამ დროს?.....101

**თავი VIII ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში – ქართული ენა და სამართალი**.....106

# თავი I
# სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

## ნაწილი 1
## მორალი და კანონი

### 1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. ------------------------------- | ნიშნავს სწორ შეფასებას. |
| 2. ------------------------------- | საქციელი, რომელიც ხალხს სამართლიანი ჰგონია. |
| კანონი | 3. -------------------------- |
| უფლება | 4. -------------------------- |
| 5. ------------------------------- | სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები. |

### 1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | თანამედროვე ცხოვრებაში სამართლიანობა და სამართალი ერთი და იგივეა. | | √ |
| 1 | სამართალი არის საზოგადოების მიერ დადგენილი, დაუწერელი წესები. | | |
| 2 | ზოგიერთი მორალური ნორმა არ აისახება კანონში. | | |
| 3 | კანონით აუცილებელია, რომ ასაკოვან ადამიანს ავტობუსში ადგილი დავუთმოთ. | | |
| 4 | კანონით აუცილებელია, რომ დანაშაულის შესახებ პოლიციას შევატყობინოთ. | | |
| 5 | მორალური ნორმები და კანონები არასდროს იცვლება. | | |
| 6 | ქალებს განათლების უფლება ყოველთვის ჰქონდათ. | | |

### 1.3. უპასუხეთ კითხვას *რა?* და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

**ა.**

| N | **როგორი?** | **რა?** |
|---|---|---|
| | აქტიური —› | აქტიურ**ობა** |
| 1 | დაბნეული —› | |
| 2 | უსაქმური —› | |
| 3 | გაფანტული —› | |
| 4 | პასიური —› | |

**ბ.**

| N | **როგორი?** | **რა?** |
|---|---|---|
| | გონიერი —› | გონიერ**ება** |
| 1 | ბედნიერი —› | |
| 2 | კანონიერი —› | |
| 3 | მშვენიერი —› | |
| 4 | წესიერი —› | |

### 1.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

*ნიმუში:* ყველამ იცის, რომ ...*უსაქმურობას*... ცუდი შედეგი მოაქვს. [უსაქმურობა]

1. თქვენმა ........................................ შეიძლება საქმეზე ცუდად იმოქმედოს. [დაბნეულობა]

2. ჩემი ............................... ყველამ გაიხარა. [ბედნიერება]

3. ამდენი ................................... შემდეგ ძალიან დავიღალე. [აქტიურობა]

4. გუშინ სოფელში ვიყავი და ბუნების ............................... ვისიამოვნე. [მშვენიერება]

5. მათმა .................................... გამაკვირვა. [წესიერება]

6. თქვენი ...................................... იმედი მაქვს. [გონიერება]

7. .................................... საფუძველი სამართლიანობის პრინციპია. [კანონიერება]

### 1.5. –ებ'იანი მრავლობითის ფორმები შეცვალეთ –თან'იანით!

***ნიმუში:*** **შეფასებების** დიდი ნაწილი საფუძვლიანია.

*...შეფასებათა დიდი ნაწილი საფუძვლიანია...*

1. **ქცევების** დარეგულირებისათვის იქმნება კანონი.

..............................................................................................

2. მორალური **ნორმების** ცვლილება ადრე თუ გვიან კანონშიც აისახება.

..............................................................................................

3. ევროპული **ქვეყნების** მიზანია დემოკრატიის განმტკიცება.

................................................................................................

4. **პოლიციელების** ჯგუფი იქით გაემართა, სადაც ხალხი იყო შეკრებილი.

.................................................................................................

5. **მხარეების** გადაწყვეტილებით ასეთი მოთხოვნა უნდა გაუქმდეს.

.................................................................................................

6. **ქალების** უფლებების თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა.

..................................................................................................

7. ამ შემთხვევაში აფრიკის **სახელმწიფოების** მაგალითი არ გამოდგება.

...................................................................................................

8. როგორც ვხედავ, **დამნაშავეების** დასჯას არ აპირებენ.

.....................................................................................................

9. **მოქალაქეების** უფლებებს ქვეყნის ძირითადი კანონი იცავს.

...............................................................................................................

10. სწორი **დამოკიდებულებების** მთავარი პრინციპი სამართლიანობაა.

..................................................................................................................

### 1.6. ააგეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით!

***ნიმუში:*** *...ცოტა ხანს ვიდექი ფეხზე და მაინც დავიღალე...* [ცოტა ხანს]

1. ................................................................................................................................ [ცოტა ხანია]

2. ................................................................................................................................ [დიდი ხანი]

3. ................................................................................................................................[დიდ ხანს]

4. ................................................................................................................ [ცოტა ხანი]

5. ................................................................................................................ [დიდი ხანია]

### 1.7. უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ გამოტოვებული უჯრები!

| რამდენ ხანს? | რამდენი ხანი? | რამდენი ხანია? |
|---|---|---|
| ორ წელიწადს | | |
| | ოთხი კვირა | |
| | | ექვსი დღეა |
| | სამი საათი | |
| | | ხუთი წელია |
| | მთელი დღე | |

### 1.8. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში!

***ნიმუში:* სამი კვირა** ვიყავი დეიდაჩემთან.
... ***რამდენი ხანი*** *იყავი დეიდაშენთან?...*

1. მატარებელი ორ საათს ანდომებს სოფელში ჩამოსვლას.

................................................................................................................

2. ერთი თვეა, იურიდიული ლიტერატურა აღარ წამიკითხავს.

................................................................................................................

3. სამი წელიწადი ევროპაში ვსწავლობდი.

................................................................................................................

4. მთელი დღე ფეხზე ვიდექი.

................................................................................................................

5. ხუთ წელიწადს საქართველოში ვიცხოვრებ.

................................................................................................................

6. სამი საათია, შენ გელოდები.

................................................................................................................

### 1.9. უპასუხეთ კითხვებს წერილობით!

1. რამდენ ხანს არ ჰქონდათ ქალებს განათლების უფლება?

............................................................................................

2. რამდენი ხანია, რაც საქართველოში ხარ?

............................................................................................

3. რამდენი დღე დაგრჩა გამოცდის ჩაბარებამდე?

............................................................................................

4. რამდენ ხანს დააგვიანებს თქვენი ადვოკატი?

............................................................................................

5. რამდენი კვირაა, რაც სასამართლო პროცესი დაიწყო?

............................................................................................

## ნაწილი 2

## კანონი

### 2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. --------------------------- | სახელმწიფოს მიერ მიღებული წერილობითი დოკუმენტი. |
| დანაშაული | 2. --------------------------- |
| 3. --------------------------- | დანაშაულის შეჩერება. |
| [სამართლებრივი] დავა | 4. ......................................... |

### 2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით:

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | კანონს ადგენს ხალხი. | | √ |
| 1 | კანონი აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ადამიანებს შორის. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | კანონი იქმნება იმისთვის, რომ დაიცვას მოქალაქე, აღიკვეთოს დანაშაული. | | |
| 3 | თუ ადამიანს არ მოსწონს ესა თუ ის კანონი, უფლება აქვს, რომ არ დაიცვას იგი. | | |
| 4 | კანონი ემხრობა ძლიერს. | | |
| 5 | კანონი იცავს საზოგადოებას, მის მშვიდობას. | | |
| 6 | კანონი ვერ არეგულირებს ეკონომიკურ ურთიერთობებს. | | |
| 7 | კანონები მოქალაქეებს შორის დავას აწესრიგებს. | | |

## 2.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** საკითხისადმი ....*სწორმა მიდგომამ*..... ჩვენი ქვეყნის მომავალზე უნდა იმოქმედოს. [სწორი მიდგომა]

1. ასეთი საქციელის ჩადენა მხოლოდ ................................................ შეუძლია. [ძლიერი ადამიანი]
2. დამნაშავე პირის ........................................ თქვენ სამართლიანობას ვერ აღადგენთ. [ამგვარი დაცვა]
3. დღევანდელმა ........................................................ ბევრი სოციალური პრობლემა შექმნა. [ეკონომიკური მდგომარეობა]
4. მან საკითხისადმი ........................................................... გამოსავალი მალე იპოვა. [სწორი დამოკიდებულება]
5. ............................................... თავისი დასასრული აქვს, ამიტომ სასამართლოს მიმართეთ! [ყველანაირი დავა]
6. ვფიქრობ, რომ ....................................................... შეიძლება გაიმარჯვოს. [უკეთესი აზრი]
7. .................................................. იურიდიული ძალა არა აქვს. [ზეპირი ნორმა]
8. ჩემზე დაკისრებულმა ................................................ ძალიან გადამღალა. [ბევრი ფუნქცია]

## 2.4. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** ...*უცნობმა მოქალაქეებმა*... ერთმანეთთან დავა დაიწყეს.
[უცნობი მოქალაქეები]

ა. ..........................................................................................................................

[არსებულმა კანონმა]

ბ. ………………………………………………………………………………………………………

[მორალურ საქციელს]

გ. ………………………………………………………………………………………………………

[კარგი სამსახური]

დ. ………………………………………………………………………………………………………

[სუსტი ადამიანი]

ე. ………………………………………………………………………………………………………

[გონიერმა მოხუცმა]

**2.5. შეადგინეთ წინადადებები ზმნებით: *უზრუნველყოფს, ცხადყოფს, ნათელყოფს.* გამოიყენეთ ახლანდელი და წარსული დრო!**

***ნიმუში:*** ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება სწორია.

ან: მოწმეებმა ცხადყვეს, რომ ის უდანაშაულო იყო.

1. ………………………………………………………………………………………………………………………

2. ………………………………………………………………………………………………………………………

3. ………………………………………………………………………………………………………………………

4. ………………………………………………………………………………………………………………………

5. ………………………………………………………………………………………………………………………

6. ………………………………………………………………………………………………………………………

**2.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: *აისახა, დაუთმო, შეატყობინა, მიიღო, დაიცვა!***

1. ჩვენმა ქვეყანამ მოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი კანონი …………………………

2. ძირითადი მორალური ნორმები კანონშიც …………………………………

3. ახალგაზრდა კაცმა ავტობუსში მოხუც ქალბატონს ადგილი ..................................

4. ამ დანაშაულის შესახებ მგზავრმა პოლიციას .........................................

5. დავინახე, რომ გამვლელმა პროდუქტის გამყიდველი ......................................

## 2.7. ა) ხაზგასმული სიტყვები დაუკავშირეთ ზმნებს და ამოწერეთ ისინი!

***ნიმუში: მოსამართლემ*** ადვოკატის მოთხოვნა დააკმაყოფილა.
.......მოსამართლემ დააკმაყოფილა.....................

1. ბრალდებულმა თავისი სიმართლე დაამტკიცა.

..................................

2. ავტობუსის მგზავრმა ბილეთის საფასური გადაიხადა.

..................................

3. სახელმწიფომ ეს დანაშაული მაშინვე აღკვეთა.

.................................

4. მოქალაქემ დიდხანს იდავა სასამართლოში.

.................................

5. ახალმა კანონმა ეკონომიკური ურთიერთობები დაარეგულირა.

..................................

6. შარშან სახელმწიფო სამსახურებმა ბევრი უმუშევარი დაასაქმა.

....................................

## ბ) ამოწერილი წყვილები გადაიყვანეთ მომავალ დროში; უპასუხეთ კითხვას: რას იზამს?

***ნიმუში:*** მოსამართლემ დააკმაყოფილა — მოსამართლე დააკმაყოფილებს.

1. ........................................................................................................................

2. ........................................................................................................................

3. ........................................................................................................................

4. ........................................................................................................................

5. ........................................................................................................................

## 2.8. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: სამწუხაროდ; საბედნიეროდ!

ნიმუში: სამწუხაროდ, დღეს მაღალი სიცხე მაქვს და სამსახურში ვერ გამოვცხადდები.
ან: საბედნიეროდ, დღეს საქართველოში სამართალდარღვევების რაოდენობა შემცირებულია.

1. ..........................................................................................................

2. ..........................................................................................................

3. ..........................................................................................................

4. ..........................................................................................................

## 2.9. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

***ნიმუში:*** მოქალაქეს, ...რომელიც... საქართველოში დიდი ხანია არ ცხოვრობს, პენსია არ დაენიშნება.

1. მოძრაობის წესები, ...................... სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, საყოველთაოა.

2. ადამიანებს შეიძლება არ მოსწონთ კანონი, ......................... პარლამენტმა მიიღო.

3. ხელში მეჭირა ის ბილეთები, ...................... ორი დღის წინ ვიყიდე.

4. მორალური ნორმები, ........................... საზოგადოება ადგენს, ამავე საზოგადოების კულტურის ნაწილია.

5. ძველად კანონი იმ ქცევის წესს აღნიშნავდა, .................. ადამიანები თავიანთ მოქმედებას აფასებდნენ.

6. პენსია, ................. დედაჩემს ეკუთვნოდა, სხვამ უკანონოდ აიღო.

7. უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, ................... საქართველოში ორი წელი იცხოვრეს, ჩემთან ახლოს შეიძინეს ბინა.

8. ჩემმა მეგობარმა, ................ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, საადვოკატო ფირმაში დაიწყო მუშაობა.

## 2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: შესახებ და გამო!

***ნიმუში:*** სახელმწიფოს მიერ მიღებული ახალი კანონის ...გამო... თქვენ ჯარიმის გადახდა დაგეკისრათ.

1. გავიგე, რომ თქვენ ................... მთავარ გამომძიებელს შეატყობინეს.

2. სამი პარლამენტარის ............................ დღევანდელი სხდომა გადაიდო.

3. უკანონო საქონლის რეალიზაციის .......................... ერთი პირი დააკავეს.

4. ბიზნესის .............................. არსებულ ყველა ინფორმაციას ელექტრონულ გვერდებზე ნახავთ.

5. ევროპარლამენტის რეკომენდაციების .......................... ხვალ დილითვე მოგახსენებთ.

6. უსამართლობის ..................... შესაძლებელია ეგ თანამშრომელი გაათავისუფლონ.

7. ქართული სამართლის მთავარი პრინციპების ......................... ცოდნა ყველა მოქალაქისათვის სასარგებლოა.

8. პოლიტიკური ლიდერების ............................ ყველანაირი ინფორმაცია არ გვაქვს.

9. მისი საქმიანობის ......................... სასწრაფოდ უნდა ეცნობოს პროკურატურას.

## 2.11. გაასწორეთ შეცდომები!

***ნიმუში:*** თქვენს გამო მეც პასუხისმგებლობა მომიწევს.

.........*თქვენ გამო მეც პასუხისმგებლობა მომიწევს*...,...

ჩემს შესახებ ინფორმაციას პრემიერ-მინისტრს მიაწოდებენ.

.....................................................................................

ბევრი ვიფიქრე თქვენს შესახებ და გადავწყვიტე, სამსახურში მიგიღოთ.

.....................................................................................

შენს გამო თავს კარგად არ ვგრძნობ.

............................................................................

აუცილებელი გახდა სხდომის გადადება შენს გამო.

............................................................................

ჩვენს შესახებ სწრაფად მოიპოვეს ინფორმაცია.

.............................................................................

# ნაწილი 3

## სახელმწიფოს ძირითადი კანონი

### 3.1. შესწავლილი ტექსტებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა | მნიშვნელობა |
|---|---|
| აქტი | 1. ................................................ |
| კონსტიტუცია | 2. ................................................ |
| 3. .................................. | კომისია, რომელიც მუშაობს კონსტიტუციის პროექტზე. |
| 4. .................................. | იურიდიული დოკუმენტის ნაწილი. |

### 3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით:

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ზოგიერთი კანონი და აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. | | √ |
| 1 | კონსტიტუცია ადგენს ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს. | | |
| 2 | კონსტიტუცია არ განსაზღვრავს პრეზიდენტის ფუნქციებს. | | |
| 3 | კანონებს ქმნის ქვეყნის პრეზიდენტი. | | |
| 4 | კონსტიტუციის პროექტზე მუშაობს საკონსტიტუციო კომისია. | | |
| 5 | კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში მთელი ქვეყანა მონაწილეობდა. | | |
| 6 | 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია დღემდე მოქმედებს. | | |
| 7 | 1995 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებელმა საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. | | |

### 3.3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ამ .....*სამართლებრივი ნორმის*..... მე-5 მუხლი არ მომწონს. [სამართლებრივი ნორმა]

1. არაკანონიერი იყო, რომ ................................................... კუთვნილი მიწის ნაკვეთი ჩამოართვეს. [ადგილობრივი მცხოვრები]
2. ................................................... შეიძლება გაიძულოს, შვილის დანაშაული დაფარო. [დედობრივი განცდა]

3. ნებისმიერ ............................................... სამართლებრივი კვალიფიკაცია აქვს. [დანაშაულებრივი ქმედება]

4. ეს მინისტრი განსაკუთრებული.................................................... გამოირჩევა. [სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება]

5. ................................................................ სწორი გააზრება ქვეყნისთვის სასარგებლოა. [საზოგადოებრივი ვალდებულებები]

6. არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვება ამდენი ხნის ........................................................... [ქონებრივი დავა]

7. თავისუფლების ................................................. კანონი იცავს. [ბუნებრივი მოთხოვნა]

8. ადამიანი თავისი .................................................. უნდა შეფასდეს. [გონებრივი შესაძლებლობები]

## 3.4. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** *...ეს ნორმა დადგენილი წესივით მოქმედებს...* [დადგენილი წესი]

1. ..................................................................................................................

[უსამართლო ადამიანივით]

2. ..................................................................................................................

[საქართველოს პრეზიდენტივით]

3. ..................................................................................................................

[ძირითადი კანონივით]

4. ..................................................................................................................

[იურიდიული დოკუმენტივით]

5. ..................................................................................................................

[გამოცდილი ადვოკატივით]

## 3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

***ნიმუში:*** დღეს მეც ...*თქვენსავით*... ძალიან დაკავებული ვარ. [თქვენ]
ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში ...*მასსავით*... არავინ ერკვევა. [მას]

1. ბელგია .................................. პატარა ქვეყანაა. [საქართველო]

2. გირჩევთ, .......................... არ მოიქცეთ, თორემ ჯარიმის გადახდა მოგიწევთ. [ჩემ]

3. ეს დოკუმენტი ................................ მოკლე უნდა იყოს. [განცხადება]

4. ის ყმაწვილი ............................... ნავარჯიშებია, ბავშვობიდან დადის სპორტზე. [შენ]

5. შენი აზრი ..................................... ნათელია. [დღე]

6. კონკურენტი ბანკი ............................ აპირებს ფილიალების გაფართოებას. [ჩვენ]

7. დიდ კულტურულ ღონისძიებას ..................... პატარა ფირმა ვერ გამართავს. [თქვენ]

### 3.6. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: *სწავლობდეს, არეგულირებდეს, აგვიანებდეს, ქმნიდეს!*

***ნიმუში:***

მე უნდა ვმართავდე ჩვენ უნდა ვმართავდეთ
შენ უნდა მართავდე თქვენ უნდა მართავდეთ
ის უნდა მართავდეს ისინი უნდა მართავდნენ

მე უნდა ვსწავლობდე ჩვენ უნდა ............................. ..

შენ უნდა ............................ თქვენ უნდა ...............................

ის უნდა ............................ ისინი უნდა ...............................

მე უნდა ვარეგულირებდე ჩვენ უნდა .............................

შენ უნდა ............................ თქვენ უნდა .............................

ის უნდა ............................ ისინი უნდა .............................

მე შეიძლება ვაგვიანებდე ჩვენ შეიძლება .............................

შენ შეიძლება ...................... თქვენ შეიძლება .............................

ის შეიძლება ....................... ისინი შეიძლება .............................

მე შეიძლება ვქმნიდე ჩვენ შეიძლება .............................

შენ შეიძლება ........................ თქვენ შეიძლება .............................

ის შეიძლება ......................... ისინი შეიძლება .............................

### 3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები; უპასუხეთ კითხვებს: *რას შვრებოდეს? რას შვრებოდნენ?*

***ნიმუში:*** კანონებს გამოცდილი იურისტი უნდა .....*ადგენდეს*............ [ადგენდა]

1. სამართლის ნორმა ურთიერთობებს უნდა ...................................... [აწესრიგებდა]

2. დამნაშავე მას რომ არ ......................................, უფრო მძიმედ დაისჯებოდა. [ემორჩილებოდა]

3. ყველა სახის მორალურ ნორმას ადამიანები შეიძლება ვერ ................................... [ასრულებდა]

4. ნამდვილი მოქალაქე სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა ......................................[მოქმედებდა]

5. რომ არ .................................. კანონი, ადამიანი დაუცველი იქნებოდა. [არსებობდა]

6. კანონის ეს ნორმა აუცილებლად უნდა ........................................... [აღსრულდა]

7. ეს საკითხი შეიძლება ....................................... დამატებით მსჯელობას. [ითხოვდა]

8. ადამიანის უფლებათა დამრღვევ პირებს უნდა ....................................., რომ სახელწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი რელიგიურ უმცირესობათა დაცვაა. [უთითებდა]

9. ხელისუფლება სიტყვის თავისუფლების დაცვას საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ........................ ................ [ავალდებულებდა]

10. ადამიანმა კონსტიტუცია შეიძლება ზეპირად არ ............................., მაგრამ განსხვავებული ადამიანი მაინც არ დაჩაგროს. [იცოდა]

### 3.8. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

**ხელი შეუწყო** — დაეხმარა, დახმარება გაუწია.

**ხელი გაუმართა** — მატერიალურად დაეხმარა, ფინანსური დახმარება გაუწია.

**ხელი შეუშალა** — წინააღმდეგობა გაუწია რაიმე საქმეში, დაბრკოლება შეუქმნა.

**ხელში ჩაიგდო** — მოიპოვა, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო.

***ნიმუში:*** სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა ხელს შეუწყობს საპენსიო თანხის მომატებას.

1. ........................................................................................................................

[ხელი გამიმართა]

2. .........................................................................................................................

[ხელი შეუწყო]

3. ………………………………………………………………………………………………………………

[ხელში ჩაიგდებს]

4. ………………………………………………………………………………………………………………

[ხელს შეგიშლის]



### 3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

მშვიდი საღამო იყო, როცა უცნობმა ქალმა ჩემი ოფისის კარები შემოაღო. მე საწერ მაგიდასთან ვიჯექი და მთელი დღის ნამუშევარი კიდევ ერთ დოკუმენტს ვადგენდი. თავი ძლივს ავწიე, როგორც ჩანს, დაღლილობა სახეზე მეტყობოდა.

— ………………………………………………, ბატონო ალექსანდრე?! — მითხრა მან და სკამზე ჩამოჯდა. მეტი გზა არ მქონდა, მუშაობა უნდა შემეწყვიტა. შევნიშნე, რომ ქალი სულ კანკალებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, შველას ითხოვდა:

— ერთ ჩემს ნაცნობს ………………………………………… და 10.000 ლარი ვასესხე, ის კი აღარ მიბრუნებს, რა ვქნა, არ ვიცი?! — ამბობდა ქალი და თან ცრემლებს იწმენდდა.

ვერაფრით დავეხმარებოდი, არ შემეძლო, რადგან გასესხების იურიდიული დოკუმენტი არ არსებობდა. საღამოს სტუმარი უიმედოდ გავიდა ოფისის პატარა ოთახიდან, კარები გაიხურა, მე კი მისი სიბრალულით მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

# თავი II

## ქვეყნის მართვა, მმართველობის ფორმები, უფლებები და თავისუფლებები

## ნაწილი 1

## ქვეყნის მართვა

### 1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. |
| 2. -------------------------------- | ის ქმნის კანონებს, რომლებითაც მართავენ ქვეყანას. |
| საქართველოს პრეზიდენტი | 3. --------------------------- |
| სასამართლო ხელისუფლება | 4. --------------------------- |
| 5. -------------------------------- | მისი შესრულება სავალდებულოა. |

### 1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლებაა. | | √ |
| 1 | პარლამენტი ქმნის კანონებს. | | |
| 2 | მთავრობა შედგება მინისტრებისაგან, რომლებსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. | | |
| 3 | საკანონმდებლო ხელისუფლება წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. | | |
| 4 | საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის მიხედვით, არ არის სახელმწიფოს მეთაური. | | |
| 5 | საქართველოს პრეზიდენტს ევალება წესრიგის დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება და ა.შ. | | |
| 6 | სასამართლო ხელისუფლება განიხილავს სამოქალაქო დავებს. | | |
| 7 | სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება არ არის სავალდებულო. | | |
| 8 | მოსამართლე არ უსმენს მხარეებს და ისე იღებს გადაწყვეტილებას. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება არ არის სავალდებულო. | | |

**1.3. უპასუხეთ კითხვას *როგორი?* და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!**

| N | რა? / ვინ? | როგორი? |
|---|---|---|
| | აპელაცია —› | **სა**აპელაციო |
| 1 | კანონმდებელი —› | |
| 2 | მხარე —› | |
| 3 | მთავრობა —› | |
| 4 | დავა —› | |
| 5 | კამათი —› | |
| 6 | მინისტრი —› | |
| 7. | ხელმძღვანელი —› | |
| 8. | ქვეყანა —› | |
| 9. | პარლამენტი —› | |
| 10. | კონსტიტუცია —› | |

**1.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!**

***ნიმუში:*** ....*საპარლამენტო ხელისუფლებას...* პარლამენტის თავმჯდომარე მართავს. [საპარლამენტო ხელისუფლება]

1. გუშინ ხელი მოაწერეს ძალიან მნიშვნელოვან ................................................ [სამთავრობო გადაწყვეტილება]

2. ........................................................................ ფიცი ქვეყნის წინაშე დადო. [საქართველოს პრეზიდენტი]

3. ჩვენი ქვეყნის ბედი ................................................. უნდა გადაწყვიტოს. [საგარეო პოლიტიკა]

4. ......................................................................... ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. [საპარლამენტო უმრავლესობა]

5. ამ ................................................... მე არ შევეხები. [საკამათო საკითხი]

6. ......................................................................... ჩვენი რეგიონის კულტურული ძეგლები დაათვალიერა. [სამთავრობო დელეგაცია]

**1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *არავინ, ნურავინ, ვერავინ, არაფერი!***

***ნიმუში:*** დღეს ...*არავის* ...ელოდები სტუმრად?

1. .................. აქვს საქმე სააპელაციო სასამართლოში?

2. .................. გაბედავს ამ მძიმე დანაშაულის დაფარვას!

3. ................. შეძლებს სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლას.

4. ნუ გეშინია, ..................... დავუშავებ.

5. მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებას ................... დაამატა.

6. ........................ ეგონება, რომ უზენაეს მართლმსაჯულებას შეცვლის!

7. სამოქალაქო დავებს .................. აქვს საერთო სისხლის სამართლის საქმეებთან.

8. ........................... ექნება იმის იმედი, რომ კონსტიტუციას დაარღვევს!

9. .................... შემოვიდეს ჩემს ოთახში, დაკავებული ვარ!

10. .................... გაკეთება არ მინდა, ძალიან დავიღალე.

11. მოსამართლემ ............. ჩათვალა ჩემი სურვილი.

**1.6. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში, გამოიყენეთ კითხვები: *როდის?* და *როდინდელი?***

***ნიმუში: ხვალინდელი*** სასამართლო პროცესი ერთი კვირით გადაიდო.

***როდინდელი*** სასამართლო პროცესი გადაიდო ერთი კვირით?

1. **გუშინწინდელი** დანაშაულის შესახებ დღეს გავიგე.

..................................................................................................................

2. მოსამართლე **დღეს** აპირებს მხარეების მოსმენას.

..................................................................................................................

3. **შარშანწინდელმა** გადაწყვეტილებამ სამართლიანობა აღადგინა.

..................................................................................................................

4. **მაზეგ** შევძლებ ჩემს ადვოკატს დაველაპარაკო.

..................................................................................................................

5. **მომავალ წელს** ქართული ენის სწავლა უნდა დავიწყო.

..................................................................................................................

6. აუცილებლად დავესწრები **ხვალინდელ** სასამართლო სხდომას.

………………………………………………………………………………………………

7. იურისტმა **გუშინდელი** საქმის დოკუმენტაცია მაჩვენა.

………………………………………………………………………………………………

8. **გუშინწინდელმა** მგზავრობამ ძალიან დამღალა.

………………………………………………………………………………………………

## 1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა დასმული კითხვის მიხედვით!

***ნიმუში:*** განცხადება შევიტანე და სამსახურში …*აღმადგინეს*… [რა მიქნეს? — აღდგენა]

1. დღეს ფინანსური პოლიცია ჩემს საბუთებს ………………………… [რა იზამს? — აღწერა]
2. პოლიციელმა …………………, რომ ამ საკითხს შეისწავლიდა. [რა ქნა? — აღნიშვნა]
3. ვინ ……………………………… მოსწავლეთა რაოდენობას? [რას იზამს? — აღრიცხვა]
4. საჩივრის შეტანა მინდა, სასამართლოში საქმე უნდა …………………… [რა ვქნა? — აღძვრა]
5. ეს ყმაწვილი კარგად ………………………………, ამიტომ იქცევა ასე. [რა ქნეს? — აღზრდა]
6. ბატონო, ჯერ დოკუმენტები უნდა ………………………… და მერე მობრძანეთ! [რა ქნათ? — აღდგენა]
7. საშუალო სკოლამაც უნდა ……………………………… განათლებული ახალგაზრდობა. [რა ქნას? — აღზრდა]
8. პრეზიდენტმა თავის სიტყვაში …………………………, რომ ის მომავალ არჩევნებშიც მიიღებდა მონაწილეობას. [რა ქნა? — აღნიშვნა]
9. ჩემმა მეგობარმა ყველა საყოფაცხოვრებო ნივთი …………………… [რა ქნა? — აღწერა].
10. გთხოვთ ……………………………… , რამდენი განცხადება შემოვიდა დღეს, და კომპიუტერში შეიტანოთ! [რა ქნათ? — აღწერა]

## 1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით *-თან, -ში* და *-ზე* თანდებულები!

საღამო ხანი იყო, როცა შენ………… წამოსვლა მომინდა. ვფიქრობდი, ცოტას მაინც დავისვენებ-მეთქი. მაგიდა………… წიგნები ეწყო, ისინი ავალაგე და მომზადება დავიწყე. კარებ………… რომ მივედი, კაკუნის ხმა გავიგე. ჩემ წინ მაღალი კაცი იდგა, პოლიციის ფორმა…….. ჩაცმული, ხელ…….. საბუთების შეკვრა ეჭირა. „თქვენ………. დაკავშირებით საჩივარია შემოსული, — მითხრა მან და რაღაც ქაღალდი მომაწოდა, —გუშინ ავტოავარია მოგსვლიათ, ამიტომ ხვალ პოლიცია……. უნდა გამოცხადდეთ, ახლა კი ერთ საბუთ……. მომიწერეთ ხელი!“. უცებ ცუდ ხასიათ……. დავდექი, ტანსაცმელი გავიხადე და სახლ…….. დავრჩი.

## 1.9. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით!

***ნიმუში:*** ცხვრის ფარა მთის წვერს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. [ფარა]

1. ..........................................................................................................

[ხალხი]

2. ..........................................................................................................

[ერი]

3. ..........................................................................................................

[ახალგაზრდობა]

4. ..........................................................................................................

[სტუდენტობა]

## 1.10. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ უჯრები!

| N | რას შვრება? //რას იზამს? | რა? |
|---|---|---|
| | მართ**ავ**ს | მართ**ვ**ა |
| | გამართ**ავ**ს | გამართ**ვ**ა |
| 1 | მოიპარავს | |
| 2 | დამალავს | |
| 3 | დატანჯავს | |
| 4 | ცურავს | |
| 5 | ჩაკეტავს | |
| 6 | ამოქექავს | |
| 7 | ძარცვავს | |
| 8 | ხარჯავს | |

**ძველ საქმეებს ამოქექავს** — იგივეა, რაც:
ძველ საქმეებს იპოვის, მოძებნის, მონახავს.

### 1.11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

***ნიმუში:*** ტყუილის ...*დამალვას*... აზრი არა აქვს. [დამალვა]

1. შენს ............................. არ ვაპირებ. [დატანჯვა]

2. კარების ............................... ქურდობას თავიდან ვერ აიცილებ. [ჩაკეტვა]

3. ბანკის .............................. ყველა თანამშრომელზე იმოქმედა. [გაძარცვა]

4. ფულის უმიზნოდ ........................ ცუდი შედეგი გამოიღო. [დახარჯვა]

5. ძველი საქმეების .................................. არ გირჩევ. [ამოქექვა]

6. პრეზიდენტი სახელმწიფოს ............................. იყო დაკავებული. [მართვა]

7. მას ჩემი ნივთების ................................ სურვილი ჰქონდა. [მოპარვა]

## ნაწილი 2

## ქვეყნის მმართველობის ფორმები

### 2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | მმართველობის ის ფორმა, რომლის დროსაც ქვეყანას მეფე მართავს. |
| 2. -------------------------------- | დიდი ძალაუფლების მქონე ხელისუფალი, მონარქი. |
| აბსოლუტური მონარქია | 3. -------------------------- |
| დემოკრატია | 4. -------------------------- |
| 5. -------------------------------- | დემოკრატიული არჩევნების ფორმა. |

### 2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ძველი მმართველობის ერთ-ერთი ფორმა იყო მონარქია. | √ | |
| 1 | მონარქიის დროს ძალაუფლება არის მეფის ხელში. | | |
| 2 | მეფეები თავიანთ ძალაუფლებას მემკვიდრეობით არ გადასცემდნენ. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | ძველ საბერძნეთში მეფეებს დიდი ძალაუფლება არ ჰქონდათ. | | |
| 4 | საბერძნეთში მეფეები ჯარისკაცებს იმ ხალხის წინააღმდეგ იყენებდნენ, რომელიც არ ემორჩილებოდა კანონებს. | | |
| 5 | კონსტიტუციური მონარქიის დროს მეფის ძალაუფლება შეზღუდული არ არის. | | |
| 6 | შეზღუდული მონარქია უძველესი მმართველობის ფორმაა. | | |
| 7 | მონარქიის საპირისპირო მმართველობის ფორმა არ არის დემოკრატია. | | |
| 8 | დემოკრატია ძველ ეგვიპტეში ჩაისახა. | | |
| 9 | დემოკრატია გულისხმობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. | | |
| 10 | ძველ ათენში სახელმწიფო მოხელეები არჩევნებით ინიშნებოდნენ. | | |

## 2.3. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

**ა.**

| N | რა? | როგორი? |
|---|---|---|
| | ოპოზიცია —› | ოპოზიცი**ურ**ი |
| 1 | რელიგია —› | |
| 2 | იდეოლოგია —› | |

**ბ.**

| N | რა? | როგორი? |
|---|---|---|
| | კატეგორია —› | კატეგორი**ულ**ი |
| 1 | აგრესია —› | |
| 2 | ადმინისტრაცია —› | |
| 3 | დისკრიმინაცია —› | |
| 4 | თეორია —› | |
| 5 | იმპერია —› | |

| | | |
|---|---|---|
| 6 | პარტია ⟶ | |
| 7 | მონარქია ⟶ | |

## 2.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ....*პარტიულმა გადაწყვეტილებამ*... ჩვენი გეგმა შეცვალა. [პარტიული გადაწყვეტილება]

1. ზოგიერთი ქვეყანა ......................................... ატარებს. [აგრესიული პოლიტიკა]
2. ................................................... დიდი ხანია აზრი დაკარგა. [მონარქიული მმართველობა]
3. კანონიდან ამ ....................................................... აუცილებლად ამოვიღებთ. [დისკრიმინაციული მუხლი]
4. ეგ ქვეყანა ............................................. არის ცნობილი. [აგრესიული პოლიტიკა]
5. ჩვენი გუბერნატორი ........................................... გეგმავს. [ადმინისტრაციული რეფორმა]
6. ..................................................... ერთიანი გადაწყვეტილება მიიღეს. [რელიგიური უმცირესობები]
7. საპარლამენტო არჩევნების დროს .................................................. გაიმარჯვა. [ოპოზიციური პარტია]

## 2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ...........*ჩვენს მეფეს*......... ხალხი არ ირჩევდა. [ჩვენი მეფე]

1. სასამართლოს ყველა ინსტანციაში დავიცავ .................................................. [ჩემი მემკვიდრეობა]
2. გთხოვ, .................................................... გადაეცი, ხვალ ჩემთან მოვიდეს! [შენი ვაჟი]
3. მთელი ქვეყანა ამაყობს ................................................ [ქართველი ჯარისკაცები]
4. ვერ ხვდებით, რომ ........................................... საზღვარი არა აქვს. [თქვენი ძალაუფლება]
5. .................................................. უფრო მეტად სჯერა მომავლისა. [ახალი თაობა]
6. .................................................. დემოკრატიის მშობელს უწოდებენ. [ძველი საბერძნეთი]
7. ჩვენ .............................................. წარვდგებით მთავრობის წინაშე. [ძირითადი მოთხოვნები]
8. სამწუხაროდ, .................................................. მე ვერ დავიცავ. [თქვენი უფლებები]
9. .............................................................. მმართველობის საუკეთესო ტრადიცია შექმნა. [ათენური დემოკრატია]
10. .............................................. ძალაუფლება შეუზღუდავია. [აბსოლუტური მონარქი]

**2.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:** ***მოწესრიგდა, აღიკვეთა, შეიქმნა, შეეწინააღმდეგა, გამოცხადდა!***

1. სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე არ ...................................

2. ამ კანონით საგზაო წესები მნიშვნელოვნად .....................................

3. ბატონი ლადო მართალი იყო, ამიტომ სტუდენტი მას ვერ .................................

4. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წელს ..............................

5. გამოძიება დაიწყო და დანაშაულიც მალევე ............................

**2.7. წინადადებები გადაიყვანეთ წარსულ დროში; უპასუხეთ კითხვას:** ***რა ქნა?***

***ნიმუში:*** ვიცი, რომ დამნაშავე დაიმალება.

.....*ვიცი, რომ დამნაშავე დაიმალა*......

1. მონარქის ძალაუფლება ნელ-ნელა შეიზღუდება.

.........................................................................................................

2. სასამართლო დარბაზში ის ადვოკატი მალე გამოჩნდება.

...........................................................................................................

3. ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის ფორმები დაწესდება.

............................................................................................................

4. ის ბავშვი ჩემთან დარჩება.

............................................................................................................

5. სახელმწიფო მოხელეები კეჭისყრას დაელოდებიან.

.............................................................................................................

6. აბსოლუტური მონარქიის დროს ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში იქნება.

...................................................................................................................................

7. რეგიონებში ახალი მმართველები დაინიშნებიან.

..............................................................................................................

## 2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *გარდა და ნაცვლად* !

***ნიმუში:*** მაზეგ ჩემ .....*ნაცვლად*........ ჩემი მეგობარი მოვა, არ დაიგვიანებს.

1. ასეთი მმართველობის ........................ უმჯობესია დემოკრატიულ ფორმებზე გადავიდეთ.

2. ამ ერთი უფლების ............................. თქვენ სხვა უფლებებიც გაქვთ.

3. არ შეიძლება, რომ ჩვენ .......................თქვენ დაზარალდეთ.

4. მაგ მაგალითის ................................ უკეთესს შევარჩევდი.

5. სამსახურში შენ ........................... ანა ღებანიძე ივლის, არ იდარდო.

6. კანონის ერთი მუხლის ................... ყველა მისაღებია.

7. მაინტერესებს, მათ ...................... სხვა დამნაშავე ვერ ნახეთ?!

8. მეფეების .................... ახლა სახელმწიფოებს პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები მართავენ.

## 2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *თუ ......., მაშინ..... ; ან: მაშინ........, თუ...........!*

***ნიმუში:*** ...***თუ***... საქართველოში დემოკრატიული მმართველობა გვინდა, ...***მაშინ***... მეფე საჭირო აღარ არის.

1. ................ კანონები სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, ............. ისინი საყოველთაოა.

2. ............. მმართველობის ფორმა დემოკრატიულია, ................ ქვეყანაში მონარქის უფლებები შეზღუდულია.

3. ............. ხალხი კანონს არ ემორჩილებოდა, ................. ჯარისკაცებს მის წინააღმდეგ იყენებდნენ.

4. ................. არის არჩევითობის პრინციპი ქვეყანაში, ............ ის დემოკრატიის გზაზე დგას.

5. ................ სახელმწიფოს მდიდარი მოქალაქეები მართავენ, ................. საქმე ოლიგარქიულ მმართველობასთან გვაქვს.

6. ..................... ეყოლება რომელიმე პარტიას მეტი დეპუტატი პარლამენტში, ............. ის არჩევნებს მოიგებს.

7. ..................... საქართველოში მთარობის მეთაური აღარ იქნება, ................. ამ მოვალეობას პრეზიდენტი შეასრულებს.

8. ................. შევძლებ სიმართლის დამტკიცებას, ................ ჩემმა ადვოკატმა ყველა დოკუმენტი მოიპოვა.

**2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით:** ***ამრიგად; მაშასადამე!***

***ნიმუში:*** მაშასადამე, სასამართლო პროცესზე დასწრება სავალდებულოა.

ან: ამრიგად, ძველი საბერძნეთი დემოკრატიის სამშობლოა.

1. ..........................................................................................................

2. ..........................................................................................................

3. ..........................................................................................................

4. ..........................................................................................................

## ნაწილი 3

## ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

**3.1. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1–7] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ზ]:**

***ნიმუში:*** საკუთრების უფლება .........*გ*................

გ. ილახება მაშინ, როცა უკანონოდ წაართმევენ კუთვნილ ქონებას.

1. სახელმწიფო ...............................
2. თანასწორუფლებიანობა ...............................
3. სიცოცხლის უფლება ...............................
4. ჩხრეკა ...............................
5. სპეციალური ნებართვა ...............................
6. სასამართლო განაჩენი ...............................
7. ომბუდსმენი ...............................

ა. სასამართლოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

ბ. სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტი, მაგალითად, ჩხრეკის ჩატარების შესახებ.

გ. ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, იცავს მის უფლებებს.

დ. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, მას კანონი იცავს.

ე. ყველა თანაბრად აგებს პასუხს დანაშაულზე, ყველა თანასწორია კანონის წინაშე.

ვ. მას ევალება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, მასზე ზედამხედველობა.

ზ. ამტკიცებს ან უარყოფს დანაშაულს.

## 3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | საქართველოს მოქალაქეს არ იცავს ქვეყნის კანონმდებლობა. | | √ |
| 1 | თანასწორუფლებიანობა არ ნიშნავს ყველა მოქალაქის დაცვას. ის განარჩევს მოქალაქეებს რელიგიური ნიშნით. | | |
| 2 | რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით კანონი არ არის განსხვავებული. | | |
| 3 | ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება. | | |
| 4 | საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ავირჩიო სარწმუნოება, რომელიც მომწონს. | | |
| 5 | სასამართლოს სპეციალური ნებართვის შემდეგ პოლიციას აქვს უფლება მოისმინოს პირადი სატელეფონო საუბრები. | | |
| 6 | სასამართლოს ნებართვის გარეშე პოლიციას ჩხრეკის უფლება აქვს. | | |
| 7 | საქართველოს მოქალაქეს 17 წლიდან აქვს უფლება არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. | | |
| 8 | საკუთარი უფლებების დაცვაში სასამართლო ვერ დამეხმარება. | | |
| 9 | უდანაშაულო ვარ მანამ, სანამ ჩემი დანაშაული სასამართლო განაჩენით არ დამტკიცდება. | | |
| 10 | ომბუდსმენს არ შეიძლება მიმართოს საქართველოს ყველა მოქალაქემ. | | |

## 3.3. უპასუხეთ კითხვებს!

***ნიმუში:*** ვინ არის ის, ვინც ძალადობს, ძალას იყენებს?

.......***მო****ძალად****ე***........

1. ვინ არის ის, ვინც სამართალს ადგენს, ასამართლებს?

.............................................

2. ვინ არის ის, ვინც წინააღმდეგობას უწევს, ეწინააღმდეგება?

.............................................

3. ვინ არის ის, ვისაც სარჩელი შეაქვს?

.............................................

4. ვინ არის ის, ვინც ცეკვავს?

.............................................

5. ვინ არის ის, ვინც ნადირობს?

.................................................

6. ვინ არის ის, ვინც თამაშობს?

...............................................

ასეთივე სიტყვებია: **მოხელე, მონაწილე, მოწმე.**

### 3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ჩხრეკის *...ერთ-ერთმა მონაწილემ...* სასამართლოს სპეციალური ნებართვა გადმომცა. [ერთ-ერთი მონაწილე]

1. ............................................ საბოლოო განაჩენი გამოიტანა. [უზენაესი მოსამართლე]
2. დიდხანს ვუყურე ................................................ და მივხვდი, რომ ადვილად დავამარცხებდი. [ჩემი მოწინააღმდეგე]
3. ასეთ ..................................................... მე ნაკლებად ვენდობი. [პოლიტიკური მოთამაშე]
4. აუცილებლად მიმართეთ გუბერნატორს და მას ............................................... წაუყენეთ. [თქვენი პრეტენზია]
5. ვერ გამიგია, .................................................... როგორ უნდა ენდო. [ეშმაკი კაცი]
6. ............................................... კონსტიტუცია იცავს. [რელიგიური უმცირესობები]
7. ................................................. ყოველთვის დავაფიქსირებ, მე კანონი მიცავს. [ჩემი აზრი]
8. ადამიანის ........................................... ხშირად საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ, ეს კი კანონით დაუშვებელია! [პირადი ცხოვრება]

9. ............................................................... კარგად უნდა იცოდეს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა სავალდებულოა. [ნებისმიერი საზოგადოება]

10. პარლამენტში დღეს ხმათა ....................................... მმართველი პარტია ფლობს. [ძირითადი უმრავლესობა]

### 3.5. გამოიყენეთ *–ზე* და *–ში* თანდებულები და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

***ნიმუში:*** ........*არჩევნებზე*........... ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია. [არჩევნები]

1. მე დაცული ვარ, რადგან სახელმწიფო თითოეულ თავის ....................... ზრუნავს. [მოქალაქე]
2. არავის აქვს უფლება ჩაერიოს ჩემს პირად .......................... [ცხოვრება]
3. მე მაქვს უფლება, ნებისმიერ საზოგადოებრივ ....................... შევიდე. [გაერთიანება]
4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ........................ ზედამხედველობა ომბუდსმენს ევალება. [დაცვა]
5. მინდა, იურისტი გავხდე და საქართველოში ადამიანის ........................... ვიზრუნო. [უფლებები]
6. სასამართლო ............................ ერთი მოწმე არ გამოცხადდა. [პროცესი]
7. ბრალდებულის ........................... ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტები ეწყო. [საქმე]
8. მოსამართლემ დასკვნის ............................ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა. [საფუძველი]
9. შესავალ ......................... ადვოკატის პირად შეხედულებებზე საუბარი მიუღებელია. [სიტყვა]

### 3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** დემოკრატია ხალხის მმართველობაა, ამიტომ ....*მის წინააღმდეგ*.... არგუმენტი არ მაქვს. [მის წინააღმდეგ]

1. ..........................................................................................................................

[ჩვენ წინააღმდეგ]

2. ..........................................................................................................................

[მათ წინააღმდეგ]

3. ........................................................................................................................

[უფლებების წინააღმდეგ]

4. ..............................................................................................................................

[უსამართლობის წინააღმდეგ]

5. ..............................................................................................................................

[აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ]

## 3.7. გაასწორეთ შეცდომები!

***ნიმუში:*** ახალგაზრდობა იქით გაემართნენ, საითაც პოლიციის მანქანები იდგა.
..........*ახალგაზრდობა გაემართა* ..........

1. კარგად დაიმახსოვრე, რომ მე ჩემ პრინციპებს არ ვღალატობ.

......................................................................

2. თქვენ რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

............................................................................

3. ვერ ხვდებით, რომ ჩემ ხალხს უსამართლოდ ექცევით!

............................................................................

4. ხალხი დიდხანს იდგნენ პარლამენტის შენობის წინ.

.............................................................................

5. არ გირჩევთ, რომ ჩვენ საქმეში ჩაერიოთ!

..............................................................................

6. მთავარ პრობლემამ დაგვანახა, რომ გამოსავალი უნდა გამოვნახოთ.

.............................................................................

7. ომბუდსმენმა თქვენ წინადადებას მხარი დაუჭირა.

................................................................................

## 3.8. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

**ხელი დაადო** — დააბრალა რაიმე, დამნაშავედ გამოაცხადა.

**ხელი დააფარა** — ვიღაცის დანაშაული დამალა, დაიცვა.

**ხელი მოჰკიდა** — საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.

**ხელი დაიბანა** — საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

***ნიმუში:*** ამ უსამართლო საქმეში ***ხელი დამიბანიაო***, თქვა სალომემ და სახლში წავიდა.

1. ..................................................................................................................

[ხელი დაადო]

2. ....................................................................................................................

[ხელი დაგაფარა]

3. ......................................................................................................................

[ხელი მოჰკიდა]



## 3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

სასამართლო პროცესზე ვიჯექი და ყურადღებით ვუსმენდი ერთ-ერთ მოწმეს. ის არეულად ლაპარაკობდა, მივხვდი, რომ დამნაშავეს ........................................................ და სიმართლის თქმას არ აპირებდა. ქურდობისათვის დაკავებული ახალგაზრდა კაციც ბრალდებულის სკამზე გაშეშებულიყო და მოსამართლეს თვალს ვერ უსწორებდა. უცებ დარბაზში მეორე მოწმე შემოვიდა, პატიოსანი მოხუცი სანდრო. თავისი ადგილი დაიკავა და ბევრი არც უფიქრია, ისე .......................... ........................... გაშეშებულ ახალგაზრდას, რომელიც გონს ჯერ ვერ მოსულიყო. მოხუცი სანდრო წელში ამაყად გაიმართა და მართალი კაცის ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა.

# თავი III
# სამოქალაქო ურთიერთობები

## ნაწილი 1
## ფიზიკური და იურიდიული პირები

### 1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | მისი უმთავრესი ამოცანა ქონებრივი და საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგებაა. |
| 2. -------------------------------- | მოქალაქე, ადამიანი. |
| სამოქალაქო სამართლის სუბიექტი | 3. --------------------------- |
| 4.-------------------------------- | არსებობას იწყებს რეგისტრაციის მომენტიდან. |
| 5. -------------------------------- | ის მოგების მიზნით ხორციელდება და არ არის ერთჯერადი. |

### 1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | სამოქალაქო სამართლის უმთავრესი ამოცანაა ქონებრივი და საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება. | √ | |
| 1 | მაღაზიაში პროდუქტის ყიდვა არ არის სამოქალაქო ურთიერთობა. | | |
| 2 | სამოქალაქო ურთიერთობები არ ეფუძნება პირთა თავისუფალ ნებას. | | |
| 3 | ჩვენ ყოველდღიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა სამოქალაქო ურთიერთობაში. | | |
| 4 | სახლის დაქირავება სამოქალაქო ურთიერთობის ნაწილია. | | |
| 5 | ნასყიდობა არ ეფუძნება მყიდველისა და გამყიდველის ნებას. | | |
| 6 | იურიდიულ პირს სასამართლოში საკუთარი სახელით გამოსვლის უფლება არა აქვს. | | |
| 7 | იურიდიულ პირს შეუძლია ჰქონდეს საკუთარი წესდება. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | იურიდიული პირის რეგისტრაცია ხდება საჯარო რეესტრში. | | |
| 9 | იურიდიულ პირს არ შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონება ან დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობა. | | |
| 10 | სამეწარმეო საქმიანობას მოგების მიზნით იწყებენ. | | |

**1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:**

***ნიმუში:*** სამოქალაქო სამართალი .........გ.................

გ. არეგულირებს ურთიერთობებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

1. სამოქალაქო ურთიერთობები ...............................
2. ნასყიდობა ...............................
3. იურიდიული პირი ................................
4. სამეწარმეო საქმიანობა ................................
5. ხელმძღვანელობა ................................

ა. ეფუძნება მყიდველისა და გამყიდველის ნებას.

ბ. არის ქორწინება, ნასყიდობა, ქირავნობა და სხვა.

გ. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წესდება.

დ. ახორციელებს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ე. აუცილებლად ჰყავს იურიდიულ პირს.

**1.4. უპასუხეთ კითხვას *როგორი?* და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!**

| | **[ვინმეს ან რაიმეს] მქონე** | **[ვინმეს ან რაიმეს] არმქონე** |
|---|---|---|
| | შვილ**იანი** | **უ**შვილ**ო** |
| 1 | აზრიანი | |
| 2 | ფორმიანი | |
| 3 | ცოლიანი | |
| 4 | მიზეზიანი | |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სამართლიანი | |
| 6 | საქმიანი | |
| 7 | რიგიანი | |
| 8 | უნარიანი | |
| 9 | ფულიანი | |
| 10 | შარვლიანი | |

**რიგიანი** — იგივეა, რაც: წესიერი.
**ურიგო** — უწესო.
მაგ., რიგიანი ქცევა; ან: ურიგო სიტყვები.
**უნარი** — იგივეა, რაც: შესაძლებლობა.
მაგ., უნარიანი ახალგაზრდაა; ან: უუნარო მოხუცია.

### 1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** არასდროს ვიწყებ ...*უაზრო საქმეს*.... [უაზრო საქმე]

1. ეს ................................................... თავიდან მომაშორეთ. [უსინდისო ბიჭი]

2. .............................................. ყოველთვის ჩაგრავენ. [უუფლებო ადამიანი]

3. ქალაბატონი თინა რა .................................... ყოფილა. [უბედო ქალი]

4. ......................................................... ცხოვრებაში რა უნდა ქნას?! [უფულო კაცი]

5. ასეთი შედეგი მხოლოდ ................................................... აქვს. [უსამართლო გადაწყვეტილება]

6. ................................................. ექიმს გვიან მიმართა. [უშვილო ქალი]

### 1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: *თვითონ, თვით, თავად!*

#### ა. თვითონ

1. არ ინერვიულო, მე .................. მოვალ შენთან, არ დავაგვიანებ.

2. ჩემმა მეგობარმა ეს გადაწყვეტილება .................. მიიღო.

3. იურიდიულმა პირმა ....................... უნდა მოაკითხოს თქვენს ოფისს და ხელშეკრულება გააფორმოს.

**ბ. თვით**

1. ასეთი მუხლი .................... სამოქალაქო სამართლის კანონშიც არ არის.

2. ................. კრედიტორმაც აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა.

3. .................... სამართლებრივი ნორმებიც კი ვერ აკრძალავს ასეთ საქმიანობას.

**გ. თავად**

1. ................. გავარკვევ, სამართლიანია თუ უსამართლო თქვენი გადაწყვეტილება.

2. დიდი დრო სჭირდება, მაგრამ შევეცდები .................... შევამოწმო ყველა საბანკო ანგარიში.

3. ..................... მომიწევს კომერციული საზოგადოების გახსნა და დარეგისტრირება.

### 1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: ყველა, ყოველი, თითოეული!

**ა. ყველა**

1. საქართველოს ............................. მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა.

2. .................... ხელშეკრულება მომაწოდეთ, მეგობარო!

3. ასოციაციის ....................... წევრი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს.

**ბ. ყოველი**

1. ამ დანაშაულზე ............................... ჩვენგანს მოეთხოვება პასუხი.

2. ......................... ორგანიზაციას, რომელმაც დღეს სესხი არ გასცა, ჯარიმის გადახდა მოუწევს.

3. ........................ ასეთმა ფაქტმა შესაძლებელია ჩემი ფინანსური მდგომარეობა შეცვალოს.

**გ. თითოეული**

1. ხელშეკრულების ............................... მხარე საკუთარ ვალდებულებაზე აწერს ხელს.

2. გთხოვთ, საქმის .............................. დეტალი კარგად გამაცნოთ.

3. ჩვენ წინააღმდეგ შემოტანილ .......................... საჩივარს კრებაზე განვიხილავთ.

4. .......................... თქვენგანმა კარგად უნდა იცოდეს, რა უფლებები აქვს!

## 1.8. გადაიყვანეთ წინადადებები კითხვით ფორმაში!

***ნიმუში:*** აქეთ-იქიდან პატრულის მანქანები გამოჩნდა.

........*საიდან გამოჩნდა პატრულის მანქანები?*...........

1. ჩემი ოფისიდან ათ საათამდე ვერ გამოვალ.

...........................................................................

2. სასამართლოს თანამშრომელმა დოკუმენტაცია იქ დააწყო.

...........................................................................

3. თქვენმა მეწარმემ აქედან უნდა წაიღოს ყველა საბუთი.

...........................................................................

4. იქიდან წამოსულები ჩემთან მოვიდნენ!

...........................................................................

5. თედოს ქვეყნიდან გასვლა აკრძალული აქვს.

...........................................................................

6. სოფლისკენ მიმავალი ძირითადი გზა აღარ არსებობს.

...........................................................................

7. იქით წასვლას აზრი არ ჰქონდა.

...........................................................................

## 1.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით *-დან* და *-კენ* თანდებულები!

დილით სახლი........ გამოვედი და მივხვდი, რომ ჯერ მაღაზიის....... უნდა წავსულიყავი. გზაში ჩემი მეგობარი შემხვდა, ცოტა ხანს მასთან ვისაუბრე, მეჩქარებოდა და ამიტომ ბოდიში მოვუხადე. მაღაზია უკვე ღია იყო. შევედი და თარო......... ორი შეკვრა ფქვილი ავიღე, კალათში ჩავდე და იქით..... გავემართე, სადაც ხორცის პროდუქტები ეწყო. ორ საათამდე სადილის გაკეთება უნდა მომესწრო, ძალიან ვჩქარობდი. სალაროს........ მივდიოდი, როცა შევნიშნე, რომ ვიღაცას ჩემი ჩანთი.......... საფულე ამოეღო. პატრულში დავრეკე და დახმარება ვთხოვე. მეორე დილით ქურდი დაიჭირეს, მაღაზიის კამერები........ ამოღებულ მასალაში ის კარგად ჩანდა.

## 1.10. შეავსეთ უჯრები და უპასუხეთ კითხვას რა?

| N | რას იზამს? | რა? |
|---|---|---|
| | განაცხადებს —› | განცხად**ება** |
| 1 | განავითარებს —› | |
| 2 | განაზოგადებს —› | |

| | | |
|---|---|---|
| 3 | განაქორწინებს —› | |
| 4 | განათავისუფლებს —› | |
| 5 | განახორციელებს —› | |
| 6 | განასხვავებს —› | |
| 7 | განიზრახავს —› | |
| 8 | განიხილავს —› | |
| 9 | განტვირთავს —› | |

**1.11. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: განცხადება, განვითარება, განსხვავება, განხორციელება, განხილვა!**

***ნიმუში:*** *... სამსახურიდან ჩემი განთავისუფლება გსურთ?..........*

1. ................................................................................................................................................

2. ................................................................................................................................................

3. ................................................................................................................................................

4. ................................................................................................................................................

5. ................................................................................................................................................

# ნაწილი 2

## ქონება და საკუთრება

**2. 1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

| **სიტყვა / შესიტყვება** | **მისი მნიშვნელობა** |
|---|---|
| 1. -------------------------------- | ორი მხარის შეთანხმებით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი. |
| 2. -------------------------------- | ის შეიძლება იყოს ნივთი, ფული და ფასიანი ქაღალდი. |
| საკუთრება | 3. --------------------------- |
| ნივთი | 4. --------------------------- |
| 5. -------------------------------- | მასზე საკუთრება საჯარო რეესტრში ფორმდება. |

## 2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | თუ შევიძინე ავტომანქანა და ის დავარეგისტრირე, მაშინ მე ამ ნივთის მესაკუთრე ვარ. | √ | |
| 1 | ტერმინი „ქონება“ სამოქალაქო სამართალში ერთი მნიშვნელობით გამოიყენება. | | |
| 2 | ქონება არ არის ფული და ფასიანი ქაღალდები. | | |
| 3 | მოძრავი ნივთია მხოლოდ ფული. | | |
| 4 | მიწის ნაკვეთი უძრავი ნივთია. | | |
| 5 | მოძრავი ნივთია ის, რაც არ არის უძრავი. | | |
| 6 | მოძრავი ნივთების შეძენისას აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება. | | |
| 7 | თუ უძრავ ნივთს შევიძენთ, ის საჯარო რეესტრში უნდა დავარეგისტრიროთ. | | |
| 8 | თუ ბინას ვიყიდით, მას საჯარო რეესტრში არ ვარეგისტრირებთ. | | |
| 9 | საკუთრება მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ჰქონდეს. | | |
| 10 | მესაკუთრეს ნივთის გასხვისების უფლება არა აქვს. | | |

## 2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

***ნიმუში:*** საკუთრების უფლება .........*ბ*.................

ბ. უძრავ ნივთებზე წარმოიშობა მარტივად.

1. ქონება ...............................
2. მოძრავი ნივთი ...............................
3. ფლობა ...............................
4. საკუთრების წარმოშობა ...............................
5. გასხვისება ...............................

ა. ნივთის ის ფორმა, რომელიც არ არის უძრავი.

ბ. მოძრავი ან უძრავი ქონების სხვის ხელში გადაცემა.

გ. ნივთის საკუთრებაში ქონა.

დ. არის ცალკეული ნივთები ან მათი ერთობლიობა.

ე. ქონების საკუთრებად ქცევა.

**2.4. უპასუხეთ კითხვას *როგორ?* და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!**

| N | | როგორ? |
|---|---|---|
| | შეხედულების მიხედვით —› | შეხედულებისა**მებრ** |
| 1 | დანიშნულების მიხედვით, მის მსგავსად —› | |
| 2 | ჩვეულების მიხედვით, მის მსგავსად —› | |
| 3 | დაპირების მიხედვით, მის მსგავსად —› | |
| 4 | წესის მიხედვით, მის მსგავსად —› | |
| 5 | ნების მიხედვით, მის მსგავსად —› | |
| 6 | სურვილის მიხედვით, მის მსგავსად —› | |

**2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!**

***ნიმუში:*** ჩემს ნათესავს ხელფასი ... *დაპირებისამებრ გადაუხადეს*....

[დაპირებისამებრ გადახდა]

1. ბრალდებულს მალე ................................................... [წესისამებრ დასჯა]
2. ის თავისი ........................................................... [სურვილისამებრ მოქცევა]
3. გთხოვთ, ეს წერილი ...................................................[დანიშნულებისამებრ გაგზავნა]
4. თქვენ როგორც გნებავთ, საკითხი თქვენი ................................................... [შეხედულებისამებრ გადაწყვეტა]
5. ეს ყმაწვილი სამსახურში ................................................... [ჩვეულებისამებრ დაგვიანება]

**2.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!**

***ნიმუში:*** ნუ დამელოდებით, მე ...*უკანონო საბუთს*... მაინც ვერ გავცემ................ [უკანონო საბუთი]

1. ................................................................................................................................ [საჯარო რეესტრი]

2. ........................................................................................................................................
[სამოქალაქო სამართალმა]

3. ........................................................................................................................................
[უსამართლო ადამიანმა]

4. ........................................................................................................................................
[სამეწარმეო საქმიანობას]

5. ........................................................................................................................................
[უვადო დოკუმენტს]

6. ........................................................................................................................................
[უწესო საქციელით]

**2.7. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები:** ***მითამაშია, მიყიდია, გამისამართლებია, მიწარმოებია*!**

***ნიმუში:***

| | |
|---|---|
| მე დამიჭრია | ჩვენ დაგვიჭრია |
| შენ დაგიჭრია | თქვენ დაგიჭრიათ |
| მას დაუჭრია | მათ დაუჭრიათ |

| | |
|---|---|
| მე მითამაშია | ჩვენ ........................................ |
| შენ ........................................ | თქვენ ........................................ |
| მას ........................................ | მათ ........................................ |

| | |
|---|---|
| მე მიყიდია | ჩვენ ........................................ |
| შენ ........................................ | თქვენ ........................................ |
| მას ........................................ | მათ ........................................ |

| | |
|---|---|
| მე გამისამართლებია | ჩვენ ........................................ |
| შენ ........................................ | თქვენ ........................................ |
| მას ........................................ | მათ ........................................ |

| | |
|---|---|
| მე მიწარმოებია | ჩვენ ........................................ |
| შენ ........................................ | თქვენ ........................................ |
| მას ........................................ | მათ ........................................ |

**ბ) გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: *გაუსამართლებია, დაუსჯია, უმოქმედია, განუხორციელებია, გამოუცხადებიათ*!**

1. ბატონ გიორგის თავისი თანამშრომელი ხშირი გაცდენის გამო ............................... .
2. მას კანონის საწინააღმდეგოდ ................................., ამიტომ დაუჯარიმებიათ.
3. ეს ინფორმაცია ტელევიზიითაც .................................... .
4. ამ მოსამართლეს ბევრი მძიმე დანაშაულისათვის ................................... ბრალდებულები.
5. ჩვენს მინისტრს არაერთი კარგი პროგრამა ...................................... .

## 2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *შორის, შუა, შუაში, შუაზე*!

***ნიმუში:*** ჩვენ .....*შორის*.... დიდი ხნის ურთიერთობაა.

1. სამართლის ნორმებს .......................... განსხვავება კონსტიტუციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.
2. არაფერ ................... არ ვიყავი, მაგრამ მაინც გამასამართლეს.
3. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება კონფლიქტი მოდავე მხარეებს .................
4. მაცნობეს, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ........................ მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დაიდო.
5. მთის ორ სოფელს .................. ასფალტიანი გზა ჯერ არ გაუყვანიათ.
6. ჩვენ რა ..................... ვართ, ბატონო, კარგად ამიხსენით?!
7. საქმე ....................... გაყავით და თანხაც თანაბრად შეგხვდებათ!
8. ადვოკატსა და მოსამართლეს .......................... ცხარე კამათი გაიმართა.
9. ადამიანის უფლებებს ........................... სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.
10. სახლებს ........................ მანძილი 20 მეტრი მაინც უნდა იყოს, თორემ კანონს დავარღვევთ.

## 2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *ისე...., როგორც*; ან: *როგორც ....., ისე*!

***ნიმუში:*** ჩემმა მეგობარმა .......***ისე***....... გაიმართლა თავი, ..........***როგორც***............ უდანაშაულო ბავშვმა.

1. თეამ მეზობლისგან .................. შეიძინა ავტოფარეხი, ....................... ამას კანონი მოითხოვდა.
2. .................... წარიმართა საქმე, .......................... ეს მესაკუთრეს უნდოდა.
3. სუპერმარკეტი შეშინებული ხალხისაგან ...................... სწრაფად დაცარიელდა, ........................ ერთი პატარა ოთახი.
4. .......................... წავალ შენგან, .......................... სრულიად უცხო ადამიანი.

5. ………………………… რეგისტრატორმა გვითხრა, ჩვენც ……………. მოვიქეცით.

6. კერძო სამართლის …………….. გაგება, ……………………… შენ გესმის, არ შეიძლება.

7. …………………… გარემოება მიკარნახებს, ……………… შევიძენ უძრავ ქონებას.

8. ჩემ მიერ შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება …………………. იდო თაროზე, …………………. უპატრონო ნივთი.

9. ……………………. მითხარით, …………………….. მოვიქეცი და თქვენ მაინც გინდათ მე დამაბრალოთ!

## 2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: რა თქმა უნდა; რასაკვირველია!

***ნიმუში:*** მე, რასაკვირველია, აუცილებლად დავესწრები სასამართლო პროცესს.

ან: რა თქმა უნდა, სამართლიანობა სახელმწიფოს მთავარი საფუძველია.

1. ……………………………………………………………………………………………………

2. ……………………………………………………………………………………………………

3. ……………………………………………………………………………………………………

4. ……………………………………………………………………………………………………

## 2.11. იპოვეთ შეცდომები და სიტყვები ამოწერეთ სწორად!

1. ქართული ეროვნული კანონმდებლობის ნორმები, რომელიც შარშან მივიღეთ, უკვე სავალდებულოა.

…………………………………………………………

2. ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

…………………………………………………………

3. სამართალიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ყმაწვილი უდანაშაულოა.

…………………………………………………………

4. ორ მოწმეს ვეღარ მოვუსმენ, რადგან დიდიხანია დაიწყო სასამართლო პროცესი.

…………………………………………………………

5. ჩემ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებს კარგად იცავენ.

…………………………………………………………

6. ნებისმიერ გამოძიების შემდეგ დოკუმენტაციას ჩემი ოფისის კარადაში ვინახავ.

…………………………………………………………

7. დღეს გავიგე, რომ თქვენ საკითხს სპეციალური კომისია განიხილავს.

…………………………………………………………

## ნაწილი 3

## ვალდებულება და ხელშეკრულება

### 3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | მისი საფუძველი ორი მხარის შეთანხმებაა. |
| 2. -------------------------------- | ორი ან მეტი პირის წერილობითი შეთანხმება. |
| დელიქტი | 3. -------------------------- |
| გირავნობა | 4. -------------------------- |
| 5. -------------------------------- | მის დროს იტვირთება უძრავი ქონება. |

### 3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ვალდებულების საფუძველი არ არის ორ მხარეს შორის არსებული შეთანხმება. | | √ |
| 1 | ვალდებულების შემთხვევაში მეორე მხარე ვალდებული არაა შეასრულოს კანონიერი მოთხოვნა. | | |
| 2 | ვალდებულება ჩნდება მაშინაც, როცა ტვირთის გადატანისას დაზიანდება მანქანა. | | |
| 3 | ხელშეკრულება შესაძლებელია ერთმა პირმა დადოს. | | |
| 4 | ნასყიდობის ხელშეკრულებები დღეს აღარ გვხვდება. | | |
| 5 | იპოთეკა და გირავნობა ხელშეკრულების ერთი და იგივე სახეა. | | |
| 6 | იპოთეკის დროს იტვირთება მოძრავი ქონება. | | |
| 7 | ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ზეპირიც იყოს. | | |
| 8 | გირავნობა სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. | | |
| 9 | იპოთეკა საჯარო რეესტრში აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს. | | |
| 10 | გირავნობის ხელშეკრულება არასდროს არის ზეპირი. | | |

**3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:**

***ნიმუში:*** დაზარალებული ……… დ …………….

დ. პირი, რომელსაც ზიანი მიაყენეს.

1. ხელშეკრულება …………………………
2. ანაზღაურება ……………………………
3. ზეპირი შეთანხმება ……………………………
4. სავალდებულო ……………………………
5. წერილობითი ……………………………

ა. შეთანხმების დაუწერელი ფორმა.

ბ. აუცილებლად შესასრულებელი.

გ. დაწერილი, აქ: იურიდიულად გაფორმებული.

დ. ორი ან მეტი პირის წერილობითი შეთანხმება.

ე. რაიმეს გადახდა, მაგალითად, ზარალისა.

**3.4. უპასუხეთ კითხვას *ვინ*? და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!**

***ნიმუში:*** ვინ არის ის, ვინც წიგნს კითხულობს?

…….***მკითხველი***……………..

1. ვინ არის ის, ვინც ქირაობს ან დაიქირავა?

……………………………………………

2. ვინ არის ის, ვინც ასაქმებს ან დაასაქმა?

……………………………………………

3. ვინ არის ის, ვინც ფლობს?

…………………………………………

4. ვინ არის ის, ვინც ყიდის ან გაყიდა?

………………………………………

5. ვინ არის ის, ვინც ყიდულობს?

…………………………………

6. ვინ არის ის, ვინც უსმენს?

……………………………………

7. ვინ არის ის, ვინც სესხულობს?

……………………………………

8. ვინ არის ის, ვინც რაიმე გაასესხა?

………………………………………

### 3.5. გამოიყენეთ *–თვის* თანდებული და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

***ნიმუში:*** ამ არგუმენტს თავისი .....*მიზნებისათვის*...... გამოიყენებს. [მიზნები]

1. საკუთარი ……………………….. ბრძოლაა საჭირო. [უფლებები]

2. ჩემი ………………………….. თანხა მაქვს გადასაცემი. [კრედიტორი]

3. ვალდებულების ………………………….. მარტო სურვილი საკმარისი არ არის. [შესრულება]

4. მან თავისი საცხოვრებელი ……………………… ავეჯი შეიძინა. [სახლი]

5. ხეები თქვენი …………………………………… მოგიტანეთ. [მიწის ნაკვეთი]

6. სახლის ………………………………. რამდენიმე საბუთი უნდა წარმოადგინოთ. [დაკანონება]

7. ამ ნაწილს შენი …………………………………… გამოიყენებ. [სარეცხი მანქანა]

8. ეს კანონი არ არის გათვალისწინებული იმ ………………………., რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან. [პირები]

9. დღევანდელი ფაქტი ……………………………. გამოგადგება სასამართლო პროცესზე. [არგუმენტაცია]

10. შევეცდები, ხელშეკრულების მუხლები თითოეული …………………. მისაღები იყოს. [მხარე]

### 3.6. გაასწორეთ შეცდომები!

***ნიმუში:*** მენეჯერს თქვენს მიმართ არანაირი პრეტენზია არა აქვს.

……………*თქვენ მიმართ* ……………

1. ვფიქრობ, რომ თქვენს მიმართ ადმინისტრაციულ სასჯელს გამოიყენებენ.

…………………………………………………

2. არ ვიცი, რას გრძნობთ ჩემს მიმართ.

…………………………………………………

3. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შენს მიმართ საყვედური გამოთქვა.

..............................................................

4. წარმოების დირექტორს ჩვენს მიმართ კითხვები არ აქვს.

..............................................................

5. თქვენს მიმართ სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი ამოქმედდება.

..............................................................

### 3.7. ააგეთ წინადადებები შემდეგი წყვილებით: *ჩვენ მიმართ; მათ მიმართ; უფლებების მიმართ; უსამართლობის მიმართ; ჩვენი ურთიერთობის მიმართ*!

***ნიმუში:*** *...რასობრივი დისკრიმინაციის მიმართ საქართველოს კონსტიტუციას მკაცრი დამოკიდებულება აქვს...*

1. ..............................................................................................................................

2. ..............................................................................................................................

3. ..............................................................................................................................

4. ..............................................................................................................................

5. ..............................................................................................................................

### 3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

**ენა დაება** — ენა აუბორძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.

**ენა დაიმოკლა** — ნაკლები, ცოტა ილაპარაკა [შესაძლებელია: სულ გაჩუმდა].

**ენას კბილი დააჭირა** — ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.

**ენა მუცელში ჩაუვარდა** — ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

***ნიმუში:*** ბიჭს ენა დაება, როცა მიხვდა, რომ პოლიციამ მასზე ყველაფერი იცოდა.

1. ..............................................................................................................................

[ენა დაიმოკლე]

2. ..............................................................................................................................

[ენა დამება]

3. ...............................................................................................................................

[ენას კბილი დააჭირა]

4. ...............................................................................................................................

[ენა მუცელში ჩაუვარდა]

## 3.9. წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

პატარა თედო დიდხანს იჯდა ეზოში მოწყენილი. ხელში ბურთი ეჭირა და თვალებს ეშმაკურად ათამაშებდა. უცებ ვანო პაპას ბაღში ბლის ხემ მიიქცია ყურადღება, ტოტები სიმწიფისაგან ქვემოთ ჩამოწეულიყო. ბალი წითლად ვარვარებდა და თითქოს ვიღაცას ეძახდა: მომკრიფე და შემჭამეო! თედო სწრაფად გაიქცა, ღობეზე გადაძვრა, ჯიბეები ბლებით გამოიტენა და თავისი ეზოსაკენ ჩქარობდა, როცა ვანო პაპას მკაცრი ხმა მოესმა: რას აკეთებ, თედო?!

ბიჭი აკანკალდა და .................................................. .

— მე.., მე..., — თქვა თედომ, — რა ვიცი, აბა?!

— ბალი მომპარე არა, შე საძაგელო, განა პაპაშენს თავის ბაღში ბალი არ უდგას?!

თედო ხმას ვეღარ იღებდა, სულ დამუნჯდა და თავი აღარ აუწევია.

— რატომ ............................................................ , მითხარი, შე ქურდბაცაცა, ასეთი საქციელი მეორედ არ გაბედო! გირჩევ, .......................................... , სახლში არავის უთხრა, თორემ დაგსჯიან, მე კი მიპატიებია!

შერცხვენილი თედო ისე წამოვიდა სახლისკენ, უკან არ გაუხედავს.

# თავი IV
# სამართლისა და კანონის მნიშვნელობა

**1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. ------------------------------ | ის სამართლის საფუძველია. |
| 2. ------------------------------ | ეწოდება სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს. |
| მმართველობის ორგანოებია | 3. ------------------------- |
| 4.------------------------------- | მისი გაფორმება ნოტარიულადაც შეიძლება. |
| 5. ------------------------------ | მოითხოვს საჯარო რეესტრში დარეგისტრირებას. |

**2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!**

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ნანა მახარაძე ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს. | | √ |
| 1 | ახლობლები ნანას იურიდიულ საკითხებში რჩევებს ვერ ეკითხებიან, რადგან ის ეკონომისტია. | | |
| 2 | სამართლიანობა და სამართალი ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია. | | |
| 3 | სამართლის საფუძველი უსამართლობაა. | | |
| 4 | სამართლიანობას სახელმწიფო ადგენს. | | |
| 5 | ქვეყანას არ მართავს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება. | | |
| 6 | ხელისუფლების ერთ-ერთი შტო არის სასამართლო. | | |
| 7 | ბანკიდან სესხის აღება არ შეიძლება. | | |
| 8 | ბინის დაგირავება არ შეიძლება. | | |
| 9 | აგირავებენ მხოლოდ მოძრავ ნივთს, მაგალითად, ავტომობილს. | | |
| 10 | იპოთეკის დროს საჯარო რეესტრში დარეგისტრირება აუცილებელი არ არის. | | |

## 3. დაუსვით კითხვა და გამოყავით რა აქვს საერთო ჩამოთვლილ სიტყვებს!

***ნიმუში:*** საკანონმდებლო, საადვოკატო, საკონსტიტუციო.
პასუხი: ......*როგორი?* .......*სა—ო*...............

1. აქტიურობა, პასიურობა, დაბნეულობა.

პასუხი: ..................................................................

2. კანონიერება, წესიერება, გონიერება.

პასუხი: ....................................................................

3. ოპოზიციური, რელიგიური, იდეოლოგიური.

პასუხი: ....................................................................

4. მონარქიული, დისკრიმინაციული, აგრესიული.

პასუხი: .....................................................................

5. მოსამართლე, მოწინააღმდეგე, მოწმე.

პასუხი: ......................................................................

6. სამართლიანი, აზრიანი, ფულიანი.

პასუხი: .......................................................................

7. უსამართლო, უმიზნო, უსინდისო.

პასუხი: ........................................................................

8. შეხედულებისამებრ, დაპირებისამებრ, წესისამებრ.

პასუხი: .........................................................................

9. მყიდველი, მფლობელი, მსმენელი.

პასუხი: .........................................................................

## 4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

***ნიმუში:*** ამ პარლამენტარს ....*დაბნეულობას*..... ვერასდროს შეამჩნევთ. [დაბნეულობა]

1. ამდენი ...................................... წარმატებებს ვერ მიაღწევთ. [პასიურობა]

2. .................................... საფუძველი სამართლიანობის პრინციპია. [კანონიერება]

3. ადამიანმა თავისი ............................. უნდა შეძლოს ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტა. [გონიერება]

4. დღეს ………………………… პარტიებს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება. [ოპოზიციური]

5. ……………………………… მმართველობაზე ევროპის ბევრმა სახელმწიფომ უარი თქვა. [მონარქიული]

6. ……………………………… დაკვირვებით მოუსმინა ბრალდების მხარეს. [მოსამართლე]

7. მე ამ ……………………… ჩვენებას არ ვენდობი. [მოწმე]

8. იმედი მაქვს, რომ …………………………… გადაწყვეტილებას გამოიტანენ. [სამართლიანი]

9. მაგ ………………………… ყველა დოკუმენტი სადღაც დამალა. [უსინდისო]

10. გირჩევთ, ………………………… ინტერესები დაიცვათ. [მეიდველი]

**5. *–ებ'იანი მრავლობითის ფორმები შეცვალეთ –თან'იანით!***

***ნიმუში: პარლამენტარების გადაწყვეტილებით*** საკანონმდებლო ორგანო ორი დღე არ იმუშავებს.

….***პარლამენტართა გადაწყვეტილებით*** საკანონმდებლო ორგანო ორი დღე არ იმუშავებს……

1. **მინისტრების მოსმენა** ხვალ დილიდან დაიწყება.

……………………………………………………………………………………………………………………

2. **გუბერნატორების რჩევით** მოსავლის აღება უნდა გადაიდოს.

……………………………………………………………………………………………………………………

3. სისხლის სამართლის **საქმეების განხილვას** ჯერ არ აპირებენ.

……………………………………………………………………………………………………………………

4. **მხარეების მოსმენა** სასამართლო გადაწყვეტილების შედეგს შეცვლის.

……………………………………………………………………………………………………………………

5. დემოკრატია ადამიანის **უფლებების დაცვას** გულისხმობს.

……………………………………………………………………………………………………………………

6. ძველ საბერძნეთში სახელმწიფო **მოხელეების არჩევას** კენჭისყრა სჭირდებოდა.

……………………………………………………………………………………………………………………

7. ამ ხელშეკრულებაში **მემკვიდრეების აზრი** უნდა გავითვალისწინოთ.

……………………………………………………………………………………………………………………

8. გადაწყვეტილების მისაღებად **დეპუტატების ხმები** აუცილებელია.

……………………………………………………………………………………………………………………

9. საოჯახო **ურთიერთობების მოწესრიგება** სამოქალაქო სამართალის სფეროა.

.......................................................................................................................................................

10. იურიდიული **პირების შესახებ** ყველა ინფორმაცია საჯარო რეესტრს აქვს.

.......................................................................................................................................................

## 6. უპასუხეთ კითხვებს მოცემული სიტყვების მიხედვით!

***ნიმუში: რამდენ ხანს*** აპირებთ ჩვენს ქვეყანაში დარჩენას?
.... *ერთ თვეს* ........................... [ერთი თვე]

1. **რამდენი ხანია**, რაც სამეწარმეო საქმიანობა დაიწყეთ?

....................................................... [ხუთი წელი]

2. **რამდენ ხანს** გრძელდება სასამართლო პროცესი?

..................................................... [ორი საათი]

3. **როდინდელ ამბავს** მიყვებით?

.......................................................... [შარშანდელი]

4. ეს ცნობა **რამდენი ხნის წინ** აიღეთ?

............................................................ [ერთი დღე]

5. **რამდენი ხანია**, რაც ადვოკატს ელოდებით?

............................................................[ ნახევარი საათი]

6. **როდინდელმა** კონფლიქტმა გაგაბრაზათ ასე?

............................................................ [გუშინდელი]

7. როგორ ფიქრობთ, **როდინდელ** ჯარიმაზე მესაუბრებიან?

............................................................ [შარშანწინდელი]

8. შეგიძლიათ მითხრათ, **რამდენი ხანია**, რაც სამსახურში მოხვედით?

.............................................................. [ოცი წუთი]

## 7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნა; უპასუხეთ კითხვას: *რას შვრებოდეს?*

***ნიმუში:*** ჩემს დოკუმენტებს ფინანსური პოლიცია უნდა .....*აღწერდეს*...... [აღწერს]

1. სამართლიანობასა და სამართალს იურისტი კარგად უნდა ......................... [ასხვავებს]

2. მისი გამონათქვამები უარყოფით ემოციას არ უნდა............................[აღძრავს]

3. კარგი მათემატიკოსი ჩემზე უკეთესად უნდა .....................................[ანგარიშობს]

4. დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონებს საპარლამენტო ხელისუფლება უნდა .......................... [ქმნის]

5. მოქალაქეობრივ ვალს ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა ............................ [იხდის]

6. მეწარმე ახლად გახსნილ საწარმოს საჯარო რეესტრში უნდა ................................. [არეგისტრირებს]

7. სიტყვა „ქონებას" სამოქალაქო სამართალი უნდა ......................................... [განმარტავს]

8. კერძო მესაკუთრე თავის ქონებას ნოტარიუსში უნდა ................................ [აფორმებდეს]

**8. დაუსვით კითხვები წინადადებებში მოცემულ ზმნებს!**

***ნიმუში:*** ისინი მე რჩევებს ხშირად ***მეკითხებიან*** ან ***მეკამათებიან*** იურიდიულ საკითხებზე.
..........რას შვრებიან?.........

1. უნივერსიტეტში ჯერ ბევრი რამ უნდა **ვისწავლო**.

.........................................

2. სტუდენტები იურიდიულ საკითხებზე დიდხანს **კამათობდნენ**.

................................................

3. ეს კაცი ავტომობილს კარგად **მართავს**.

...............................................

4. მოსწავლეებს ამ გაკვეთილს მე **ავუხსნი**.

..............................................

5. მოსამართლე მე არ **მომიტყუებია**.

................................................

6. საქართველოს ყველა მოქალაქე ქართულ ენას უნდა **სწავლობდეს**.

.................................................

7. სამეწარმეო საქმიანობა იურიდიულმა პირმა **დაიწყო**.

..................................................

8. სამსახურში ჯერ არ **დამიგვიანებია**.

...................................................

**9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნა!**

***ნიმუში:*** ნანა მახარაძე იურიდიულ ფაკულტეტზე ....*სწავლობს*..... [სწავლა; რას შვრება?]

1. მან უნივერსიტეტში ბევრი რამ ................................. [გაგება; რა ქნა?]

2. მეზობლებმა და ახლობლებმა ნანას რჩევები უნდა ............................... [კითხვა; რა ქნან?]

3. ის ნანას იურიდიულ საკითხზე ...................................... [შეკამათება; რა ქნა?]

4. მისმა ბიძაშვილმა ერთმანეთისაგან ვერ .................................. სამართლიანობა და სამართალი. [განსხვავება; რა ქნა?]

5. მე ......................................, რომ ეს ტყუილია. [დასაბუთება; რას ვიზამ?]

6. ჩემი მეზობელი ბანკიდან სესხს ............................... [გამოტანა; რას იზამს?]

7. დავინახე, რომ ის გირავნობის ხელშეკრულებას .................................. [გაფორმება; რას შვრებოდა?]

8. ვფიქრობ, რომ საჯარო რეესტრში ...................................... [დარეგისტრირება; რა უნდა ქნა?]

**10. ა) უპასუხეთ კითხვას ..*რა უქნია?***

***ნიმუში:*** შეისწავლის — ... *შეუსწავლ**ია***...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შეეკამათება | — | ......................... | 6. დაიჩივლებს | — | ......................... |
| 2. იმსჯელებს | — | ......................... | 7. გააფორმებს | — | ......................... |
| 3. აუხსნის | — | ......................... | 8. მისცემს | — | ......................... |
| 4. დააგირავებს | — | ......................... | 9. გაასხვისებს | — | ......................... |
| 5. დაუმტკიცებს | — | ......................... | 10. ისარგებლებს | — | ......................... |

**ბ) ააგეთ წინადადებები ზმნებით: *უყიდია, გაუსუფთავებია, გაულამაზებია, გაუკეთებია!***

1. ........................................................................................................................

2. ........................................................................................................................

3. ........................................................................................................................

4. ........................................................................................................................

**11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები:**

***ა) ის .........., რომელიც .......... // ის............., რომლებიც.........***
***ბ) თუ............, მაშინ .......... // მაშინ ................, თუ..............***
***გ) ისე ............, როგორც........ // როგორც ............, ისე............***

***ნიმუში:*** ...***თუ*** ქვეყანა დემოკრატიულია, ***მაშინ*** ადამიანის უფლებებიც დაცულია...

1. ....... წაიყვანა საქმე, ................ თავად სურდა.

2. ......... ქვეყანას მეფე მართავს, ................. მმართველობის ფორმა მონარქიულია.

3. .............. იღებენ ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილებას, ........ მისთვის გული სტკივათ.

4. ............ კანონები, ..................... მოძრაობის წესებს ეხება, დასარეგულირებელია.

5. ................. ჩვენი პედაგოგი ამბობს, ............ უნდა შევასრულოთ დავალებები.

6. .............. სწრაფად გავიქეცი, ..................... ტყიდან გამოვარდნილი დათვი.

7. .............. დაისაკუთრა ჩემი მიწის ნაკვეთი, ..................... ამას მტერი იზამდა.

8. ......... მოგირავნე, .................. ხელშეკრულებას დაარღვევს, ვალდებულებას ვერ გაექცევა.

9. ............. სამართლებრივ სახელმწიფოს არ შევქმნით, ................ ყველაფერი აზრს დაკარგავს.

10. არადემოკრატიულია ........ კანონები, ............... რამდენიმე ადამიანის გადაწყვეტილებითაა მიღებული.

**12. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები: *წინააღმდეგ, გარდა, გამო, ნაცვლად, შესახებ, მიმართ!***

***ნიმუში:*** მეზობლები ჩემ ...*გამო*...... ძალიან დაზარალდნენ.

1. უნდა იცოდე, რომ სასამართლო პროცესზე შენ .................... მე ვერ ვილაპარაკებ.

2. თქვენი ქორწინების ................... მეც მომთხოვენ პასუხს.

3. ჩემი ფირმის გაყიდვის ................... ფინანსურ პოლიციას შევატყობინე.

4. ბრალდებულის ........................... ორი მოწმე ალაპარაკდა.

5. მის ....................... სისხლის სამართლის ბრალდება არსებობს.

6. დღეს ჩემ ...................... გიორგი იმუშავებს.

7. ქვეყნის კონსტიტუციის ………………….. განათლებულმა ადამიანმა ბევრი რამ უნდა იცოდეს.

8. ვერ გავიგე, ჩემ …………….. არავინ არის, ეს დავალება რომ მისცეთ?!

**13. შესიტყვებები შეცვალეთ სინონიმებით!**

*ნიმუში:* ადვოკატმა საქმეს ***ხელი მოჰკიდა***.

ნიშნავს: ….*ადვოკატმა საქმე დაიწყო*…………………………………

1. თედომ მეგობარს **ხელი შეუწყო**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

2. მან სხვისი ქონება **ხელში ჩაიგდო**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

3. მოწმემ ბრალდებულს **ხელი დაადო**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

4. დედამ თავის შვილს **ხელი დააფარა**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

5. გაოცებულმა ბიჭმა **ენას კბილი დააჭირა**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

6. ხელმძღვანელის შიშით ანას **ენა მუცელში ჩაუვარდა**.

ნიშნავს: ……………………………………………………………………………………………………

# თავი V
# საოჯახო სამართალი

## ნაწილი 1
## ქორწინება

### 1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | საპასუხისმგებლო სამოქალაქო ურთიერთობა. |
| 2. -------------------------------- | ადგილი, სადაც ქორწინება იურიდიულად რეგისტრირდება. |
| ნაადრევი ქორწინება | 3. -------------------------- |
| 4. -------------------------------- | არ წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. |
| 5. -------------------------------- | ქორწინების შეწყვეტა იურიდიულად, ანუ რეგისტრაციის საშუალებით. |

### 1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ქორწინება არ არის სამოქალაქო ურთიერთობა. | | √ |
| 1 | ნიშნობა ქორწინების იურიდიული გაფორმების სახეა. | | |
| 2 | ქორწინება სამართლებრივად ნებადართულია 18 წლის შემდეგ. | | |
| 3 | 16 წლის ახალგაზრდების ქორწინებას არავის წერილობითი ნებართვა არ სჭირდება. | | |
| 4 | ქორწინება ორი მხარის — ვაჟისა და ქალის — ნებაზეა დამოკიდებული. | | |
| 5 | წყვილები ქორწინებას საჯარო რეესტრში არეგისტრირებენ. | | |
| 6 | დაურეგისტრირებელი ქორწინება არ წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | დამაბრკოლებელმა გარემოებებმა შეიძლება შეაფერხოს ქორწინების იურიდიული გაფორმება. | | |
| 8 | ჯვრისწერა საჯარო რეესტრში უნდა გაფორმდეს. | | |
| 9 | ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ქორწინების შეწყვეტას ნიშნავს. | | |
| 10 | განქორწინება სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირდება. | | |

**1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:**

***ნიმუში:*** დაოჯახებული ...*ბ*....

ბ. პირი, რომელიც დაქორწინებულია.

1. ნიშნობა ..........
2. 16 წლამდე ახალგაზრდების ქორწინება ..........
3. ქორწინება ..........
4. დაქორწინებული ..........
4. ჯვრისწერა ..........
5. განქორწინება ...........

ა. დამოკიდებულია ორი მხარის პიროვნულ ნება-სურვილზე.

ბ. არაიურიდიული ქორწინების ერთ-ერთი სახე, მისი რელიგიური ფორმა.

გ. წინასაქორწინო არაიურიდიული შეთანხმება, არაოფიციალური თანხმობა.

დ. საჭიროებს მშობლების ან მზრუნველის წერილობით თანხმობას.

ე. ეწოდება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე ქორწინების შეწყვეტას.

ვ. საჯარო რეესტრში აღრიცხული პირი, ქორწინების ერთ-ერთი მხარე.

**1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!**

| N | როგორი? [დადებითი ფორმა] | როგორი? [უარყოფითი ფორმა] |
|---|---|---|
| | პოპულარული | **არა**პოპულარული |
| 1 | სრულწლოვანი | |

| | | |
|---|---|---|
| 2 | ნორმატიული | |
| 3 | საკანონმდებლო | |
| 4 | კანონიერი | |
| 5 | ადამიანური | |
| 6 | ემოციური | |
| 7 | რელიგიური | |
| 8 | კოლეგიალური | |
| 9 | სუვერენული | |
| 10 | სავალდებულო | |
| 11 | სამთავრობო | |
| 12 | საპარლამენტო | |
| 13 | კონსტიტუციური | |
| 14 | დემოკრატიული | |

## 1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ჩემი მეგობარი ....არაპოპულარულ ჟურნალ-გაზეთებს... კითხულობს. [არაპოპულარული ჟურნალ-გაზეთები]

1. ................................................................ აუცილებლად შევისწავლით. [არასრულწლოვანთა საქმეები]
2. ............................................................... თავისი აზრი გაგვაცნო. [არასაპარლამენტო უმცირესობა]
3. თქვენ აუცილებლად უნდა მიმართოთ ................................................... [არასამთავრობო ორგანიზაცია]
4. თუ გნებავთ, ნუ დაიცავთ ....................................................... [არასავალდებულო წესები]
5. ............................................................. ჯერ ბევრი კანონი აქვთ შესაცვლელი. [არადემოკრატიული ქვეყნები]
6. სასამართლო პროცესზე მათ ......................................................... არ უპასუხეს. [არაკანონიერი მოთხოვნა]
7. ............................................................. არაფერი გამოგივათ. [არაადამიანური ქცევები]

**1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ ანტონიმებად!**

*სიკეთე, ბნელი, ნაკლები, ცა, მკვდარი, ახალი, თეთრი, ცარიელი, დედამიწა, ზღვა, მაგარი, ბოროტება, ხმელეთი, შავი, სავსე, ნათელი, ცოცხალი, ძველი, რბილი, მეტი.*

*ნიმუში:* მართალი — მტყუანი

1. ........................................... 6. ...........................................

2. ........................................... 7. ...........................................

3. ........................................... 8. ...........................................

4. ........................................... 9. ...........................................

5. ........................................... 10. ...........................................

**1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!**

***ნიმუში:*** ბავშვი ....*იმ გვარს* ...... ატარებდა, რომელიც მშობლებმა მისცეს. [ის გვარი]

1. ........................................ სისწორეში ეჭვი არ შემპარვია. [ეს გადაწყვეტილება]

2. ........................................ ორი პუნქტი აკლია. [ეგ ხელშეკრულება]

3. ძალიან კმაყოფილი ვარ ................................. ადგილით. [ეს საცხოვრებელი]

4. ................................................. ქონებაზე პასუხს მემკვიდრე აგებს. [ის ოჯახი]

5. მე მგონია, არავინ არის............................................ კმაყოფილი. [ეგ ქორწინება]

6. შარშან ........................................... უფროსად დავინიშნე. [ის სამსახური]

7. ძალიან შევწუხდი, როცა ................................. შესახებ შევიტყვე. [ეგ დანაშაული]

8. ............................................... ადამიანი ვერ იამაყებს. [ეს მემკვიდრეობა]

9. პარლამენტში ................................................ განხილვას დღეს არ აპირებენ. [ეგ საკითხი]

10. ....................................................... ქორწინებამდე სჭირდება გააზრება. [ეს ვალდებულებები]

**1.8. ააგეთ წინადადებები სიტყვებით:** *სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან, ბევრგან!*

***ნიმუში:*** დღეს ***ორგან*** ვაპირებ წასვლას.

1. ..........................................................................................................

2. ..........................................................................................................

3. ..........................................................................................................

4. ..........................................................................................................

5. ..........................................................................................................

## 1.9. ა) გამოტოვებულ ადგილას ჩასვით *-ვით, -ზე, -ში, -თვის, -კენ* და *-დან* თანდებულები!

წვიმიანი საღამო იყო, როცა ფანჯრი..... ვიყურებოდი და ხმაური შემომესმა. ტან.... სწრაფად ჩავიცვი და კიბე..... ჩავირბინე. ეზო..... პოლიციის მანქანა გაჩერდა. იქი...... რამდენიმე პოლიციელი გადმოვიდა და ახალგაზრდების ჯგუფის.... გაიქცა. მოჩხუბარი ბიჭები უცებ დაიფანტნენ და მიწა..... დაგდებული ახალგაზრდა კაცი დავინახე. სასტიკად ნაცემი იყო, ფეხ..... ვეღარ დგებოდა, თვალებს გიჟი..... ატრიალებდა, ხელებს პოლიციელების...... იშვერდა და შველას ითხოვდა. იმ საღამოს ყველა დამნაშავე განყოფილება..... დაიბარეს და დაკითხეს. მერე გავიგე, რომ იმ საწყალი ბიჭის........ ტელეფონი და ფული წაურთმევიათ.

## ბ) წინა სავარჯიშოში მოცემული ტექსტიდან ამოწერეთ ზმნები, რომლებიც

უპასუხებენ კითხვას: *რას შვრებოდა?*

პასუხი: ..............................................................................................................................

## 1.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** .......*სამართლის კოდექსებს*...... სტუდენტობის პერიოდში ვსწავლობდი. [ სამართლის კოდექსები]

1. მშობლები ყოველთვის განიცდიან .................................... . [შვილის განქორწინება]

2. ...................................................... კარგად დავათვალიერებ. [ქორწილის საჩუქრები]

3. ჩემი ................................................ გუშინ სარჩელი შევიტანე. [ადვოკატის რჩევა]

4. ............................................ ჩვენს რეგიონში ახალი გუბერნატორი დაინიშნა. [მთავრობის გადაწყვეტილება]

5. ........................................... ჩემი ცხოვრება შეიძლება სულ შეცვალოს. [სასამართლოს გადაწყვეტილება]

6. .............................................. უკვე ვეღარ დაველოდები. [მეუღლის თანხმობა]

7. ......................................... ჩემზე ძალიან იმოქმედა. [დედაჩემის აზრი]

8. ერთ-ერთი .................................... ხშირად ქონებრივი დავა მოჰყვება ხოლმე. [მეუღლის გარდაცვალება]

# ნაწილი 2

# ოჯახი

## 2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. |
| 2. -------------------------------- | ბავშვს ერქმევა მშობლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. |
| სარჩო | 3. --------------------------- |
| 4. ------------------------------- | ის მეუღლეთა შორის მრავალმხრივ ურთიერთობებსა და მოვალეობებს წარმოშობს. |
| შემოსავალი | 5.--------------------------- |

## 2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | შვილს სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არქმევენ. | √ | |
| 1 | შვილისთვის გვარის მიცემის უფლება მხოლოდ მამას აქვს. | | |
| 2 | სასამართლო ანიჭებს სარჩოს მიღების უფლებას ცოლს ორსულობის პერიოდში. | | |
| 3 | პირად ურთიერთობებში იგულისხმება სახელის, გვარის, განათლებისა და სხვ. თავისუფლებები. | | |
| 4 | ქორწინება მეუღლეთა შორის არ წარმოშობს მრავალმხირვ ურთიერთობებს. | | |
| 5 | მეუღლეს უფლება აქვს თავად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს ოჯახის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. | | |
| 6 | მე არა მაქვს უფლება გადავიდე მეუღლის გვარზე. | | |
| 7 | ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება საერთოა, ანუ ორივეს საკუთრებაა. | | |
| 8 | ინდივიდუალური საკუთრება ის ქონებაა, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინებამდე ეკუთვნოდა ან ქორწინების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო. | | |

## 2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

***ნიმუში:*** საქორწინო ხელშეკრულება ...*გ*...

გ. ჰქვია ორმხრივ შეთანხმებას, რომელსაც მექორწილე წყვილი დებს.

1. ურთიერთშეთანხმება ............
2. მხარში დგომა ............
3. პირადი ურთიერთობა ............
4. ქონებრივი ურთიერთობა ............
5. პირადი საკუთრება ............

ა. ერთმანეთისათვის მხარის დაჭერა, ერთმანეთის დახმარება.

ბ. ამ შემთხვევაში ადამიანები ერთმანეთის აზრს ითვალიწინებენ და რაღაცაზე თანხმდებიან.

გ. გულისხმობს სახელის, გვარის, განათლების, სამსახურისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლებას.

დ. საკუთრების ფორმა, რომელიც ქორწინების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას გულისხმობს.

ე. გულისხმობს ცოლ-ქმრის უფლებებს ოჯახის ქონებაზე.

## 2.4. უპასუხეთ კითხვას *როგორი?* და გამოიყენეთ *–ოვან* დაბოლოება!

***ნიმუში:*** რა არის ის, რასაც სრული ფასი აქვს, სრულყოფილია?
.... *სრულფასოვანი*....

1. რა არის ის, რასაც **სურნელი**, ანუ კარგი სუნი, აქვს?

......................................................

2. რა არის ის, რასაც ორი მნიშვნელობა, **ორი აზრი** შეიძლება ჰქონდეს?

........................................................

3. რა არის ის, რასაც **მნიშვნელობა** აქვს და ღირებულია?

......................................................

4. რა არის ის, რასაც **ძალა** აქვს?

......................................................

5. ვინ არის ის, ვისაც კარგი **სახელი** აქვს, სახელგანთქმულია?

....................................................

6. რა არის ის, რასაც **ნაკლი** აქვს?

...............................................

7. რა არის ის, რასაც **მრავალი ფერი** აქვს, ანუ მრავალნაირია?

...............................................

8. ვინ იყო ის, ვისაც **დიდი გვარი** ჰქონდა, პრივილეგირებული იყო?

...............................................

## 2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** ჩვენი ქვეყნის ....*მრავალსაუკუნოვან ისტორიას*... ბევრი მტერი უნახავს. [მრავალსაუკუნოვანი ისტორია]

1. ....................................................... თავისი ქორწინება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა. [სრულწლოვანი მოქალაქე]
2. საქორწონო ხელშეკრულების დადება ....................................................... შეუძლიათ. [ასაკოვანი მოქალაქეებიც]
3. ჩვენ მიერ გამოცემულმა .............................................. დიდი პოპულარობა მოიპოვა. [ორენოვანი გაზეთი]
4. მოგიწევთ, რომ ............................................................ თქვენი აზრი კარგად გააგებინოთ. [მრავალრიცხოვანი აუდიტორია]
5. საქართველო ................................................................. გამორჩეული ქვეყანაა. [მრავალფეროვანი ბუნება]
6. ................................................................................... საქმის გამოძიება მალევე დაიწყეს. [ძალოვანი სტრუქტურები]
7. შეეცადეთ, რომ თქვენს მოხსენებაში საკითხის ......................................... ხაზი გაუსვათ. [ნაკლოვანი მხარეები]
8. ეს კანონდარღვევა ................................................................................ მიმაჩნია. [მნიშვნელოვანი პრობლემა]
9. სამართლის კოდექსებში .................................................. შეტანა არ შეიძლება. [ორაზროვანი წინადადებები]
10. .......................................................... მიღებამ თქვენს წინსვლას ხელი უნდა შეუწყოს. [სრულფასოვანი განათლება]

**2.6. ააგეთ წინადადებები სიტყვებით:** ***ერთმანეთი და ერთიმეორე!***

ნიმუში: ადამიანები ერთმანეთით ვართ ძლიერნი, რადგან ძალა ერთობაშია!

1. ..........................................................................................................................

2. ..........................................................................................................................

3. ..........................................................................................................................

4. ..........................................................................................................................

**2.7. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები:** ***დაუბეჭდავს, მოუკლავს, დაუბამს, წარმოუთქვამს!***

| | | |
|---|---|---|
| ***ნიმუში:*** | მე მომიპარავს | ჩვენ მოგვიპარავს |
| | შენ მოგიპარავს | თქვენ მოგიპარავთ |
| | მას მოუპარავს | მათ მოუპარავთ |

მე დამიბეჭდავს ჩვენ .......................................

შენ ....................................... თქვენ .......................................

მას ....................................... მათ .......................................

მე მომიკლავს ჩვენ .......................................

შენ ....................................... თქვენ .......................................

მას ....................................... მათ .......................................

| | | |
|---|---|---|
| ნიმუში: | მე ჩამიცვამს | ჩვენ ჩაგვიცვამს |
| | შენ ჩაგიცვამს | თქვენ ჩაგიცვამთ |
| | მას ჩაუცვამს | მათ ჩაუცვამთ |

მე დამიბამს ჩვენ .......................................

შენ ....................................... თქვენ .......................................

მას ....................................... მათ .......................................

მე წარმომითქვამს ჩვენ .......................................

შენ ....................................... თქვენ .......................................

მას ....................................... მათ .......................................

**ბ) გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: *მოუკლავს, მოუპარავს, დაგიცავს, უთქვამს!***

***ნიმუში:*** ბევრჯერ .......*შემინიშნავს*......, რომ ლადო ტყუილს ამბობდა.

1. შენ ................................ ის ახალგაზრდა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.

2. ძალიან მეწყინა, როცა გავიგე, რომ მას ჩემს ბაღში ხილი .................................. .

3. ეს ამბავი ბატონ დავითს დირექტორისათვის არ ................................. .

4. ბრალდებულს თავისი თანატოლი ...................................... .

## 2.8. ააგეთ წინადადებები ფრაზით: *სხვათა შორის!*

***ნიმუში:*** სხვათა შორის, მეც შენსავით ჯერ ჯვარი დავიწერე.

1. ......................................................................................................

2. ......................................................................................................

3. ......................................................................................................

## 2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვებით: *ისეთი...., როგორიც.... ; ისეთი...., როგორებიც!*

***ნიმუში:*** ...***ისეთი***... მეუღლე, ...***როგორიც***... მას ჰყავს, სანატრელია.

1. ................ სამუშაო ვიშოვე, ...................... დიდი ხანია მინდოდა.

2. იშვიათია ................... გამოცდილი ადვოკატი, ....................... თქვენ ბრძანდებით.

3. უსაფუძვლოა ................... აზრები, ...................................... მათ გამოთქვეს.

4. .................. გვარები, ............................ საქართველოში არ არის გავრცელებული, ჟურნალში არ ჩამიწერია.

5. არ არის ხშირი ........................ შემოსავალი, .................... მას აქვს.

6. მოძველდა .......................... მორალური ნორმები, .......................... ადრე იყო.

7. არ მინახავს ......................... ძვირფასეულობა, ............................ ჩემმა ახლობელმა მაჩვენა.

8. საამაყოა ......................... მემკვიდრეობა, ........................... თვენს მეუღლეს დარჩა.

**2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!**

***ნიმუში:*** ეს საქციელი ....*მათგან*.... მოულოდნელი არ იყო. [მათ]

1. ჩემი ბეჭედი ................................ არის დამზადებული. [ვერცხლი]

2. როცა ................. წამოვედი, ჩემი თანამშრომელი შემხვდა. [თქვენ]

3. საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა ................................... ელოდა. [მოსამართლე]

4. ძვირფასი .................. ლამაზი სამკაულის გაკეთება შეიძლება. [თვლები]

5. ვერ მივხვდი, .............................. რა უნდა წამომეღო. [შენ]

6. მთავარია, რომ თქვენი ........................ მომიტანოთ თანხმობა. [იურისტი]

7. ხელოსანმა ............................ სათამაშო გააკეთა. [ხე]

8. გუშინ ................................... მითითებები მივიღეთ. [გუბერნატორი]

## ნაწილი 3

## შვილები

**3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

| სიტყვა | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | სავალდებულო თანხა, რომელსაც მშობელი ყოფილი ოჯახის წევრს რჩენის მიზნით უხდის. |
| 2. -------------------------------- | გარდაცვლილი პირის ქონების ოჯახის წევრზე ან წევრებზე გადაცემა. |
| მემკვიდრე | 3. --------------------------- |
| ანდერძი | 4. --------------------------- |
| 5. -------------------------------- | პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქონება მემკვიდრეობით გადადის. |

## 3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | განქორწინების შემდეგ მამა არ არის ვალდებული იზრუნოს შვილებზე. | | √ |
| 1 | მშობელი, რომელიც განქორწინების შემდეგ მცირეწლოვან შვილთან არ ცხოვრობს, არ არის ვალდებული ალიმენტი გადაიხადოს. | | |
| 2 | ალიმენტი არასრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულებაა. | | |
| 3 | შრომისუუნარო ოჯახის წევრს განქორწინების შემდეგ ალიმენტი არ ეკუთვნის. | | |
| 4 | სასამართლოს არა აქვს უფლება განსაზღვროს ალიმენტის თანხა. | | |
| 5 | ალიმენტთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო უმოკლეს ვადაში განიხილავს. | | |
| 6 | საქართველოს კანონმდებლობით, მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. | | |
| 7 | სრულწლოვანი და შრომისუნარიანი შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები. | | |
| 8 | გარდაცვლილი მშობლების ქონება ყოველთვის შვილებს რჩება. | | |
| 9 | მემკვიდრეობა მემკვიდრეს ანდერძითა და კანონის მიხედვით გადაეცემა. | | |
| 10 | მემკვიდრეობა არ გადადის ახლო ნათესავებზე, მაგალითად, შვილებზე. | | |

## 3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ვ]:

***ნიმუში:*** რჩენის ვალდებულება …გ…

გ. ჰქვია იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც ადამიანი არასრულწლოვანი ან უუნარო მშობლების მიმართ იღებს.

1. ალიმენტი ………..
2. შეუთანხმებლობა ………..
3. სასამართლო ………..
4. მშობელი …………
5. შვილები …………

6. კანონი .............

ა. არის მაშინ, როცა ადამიანები რაიმე საკითხში ვერ თანხმდებიან.

ბ. ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც მშობლის, ისე შვილის მატერიალური მდგომარეობა.

გ. ისინი მემკვიდრეობით იღებენ გარდაცვლილი მშობლების ქონებას.

დ. მისი საშუალებით მემკვიდრობა გადადის ახლო ნათესავებზე — მეუღლეზე, შვილზე და ა.შ.

ე. მისი მიღების უფლება ოჯახის შრომისუუნარო წევრსაც აქვს.

ვ. განქორწინების შემდეგ ვალდებულია აანაზღაუროს ბავშვის ავადმყოფობით გამოწვეული ხარჯი.

### 3.4. შეავსეთ შესაბამისი უჯრები ისე, რომ გამოიყენოთ სიტყვა „ურთიერთ“!

| N | რა? | რა? |
|---|---|---|
| | შეთანხმება | **ურთიერთ**შეთანხმება |
| 1 | ბრალდება | |
| 2 | გაგება | |
| 3 | კავშირი | |
| 4 | დახმარება | |
| 5 | ზემოქმედება | |
| 6 | თანამშრომლობა | |
| 7 | კონტროლი | |
| 8 | მიმართება | |
| 9 | პატივისცემა | |

### 3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

***ნიმუში:*** პოლიტიკურ პარტიათა შორის ....*ურთიერთგაგებამ*..... სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო. [ურთიერთგაგება]

1. მხარეებმა .......................................... თავი ვერ აარიდეს, ამიტომ სასამართლო პროცესი 3 დღით გადაიდო. [ურთიერთბრალდებები]

2. ოჯახის წევრებს შორის ...................................................... დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს. [ურთიერთდახმარება]

3. არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არსებული ............................................ საფუძველზე ახალი ხელშეკრულების მიღება გადაწყდა. [ურთიერთშეთანხმება]
4. ......................................................... შეიძლება მხოლოდ სასიკეთო შედეგი გამოიღოს. [ურთიერთპატივისცემა]
5. საქართველოსა და ევროპის ....................................................... მოსახლეობა კმაყოფილია. [ურთიერთთანამშრომლობა]
6. შეთანხმება ორ ორგანიზაციას შორის ...................................................... გააძლიერებს. [ურთიერთკონტროლი]
7. წამყვან სახელმწიფოთა შორის ......................................... მსოფლიო პოლიტიკის მომავლის განსაზღვრა შეუძლია. [ურთიერთკავშირი]

### 3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** ადვოკატი ...*თქვენ პირდაპირ*.... დაჯდება. [თქვენ პირდაპირ]

1. ..........................................................................................................................

[ჩვენ პირდაპირ]

2. ..........................................................................................................................

[მათ პირისპირ]

3. ..........................................................................................................................

[პირდაპირ ვუთხარი]

4. ..........................................................................................................................

[უსამართლობის პირისპირ]

5. ..........................................................................................................................

[პირდაპირ დაჯდა]

### 3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *წინააღმდეგ, გამო, შესახებ*!

***ნიმუში:*** მათი განქორწინების ...*შესახებ*.... გვიან გავიგე.

1. ჩემი ძმა ჩვენი ქორწინების ..................... დიდხანს არ მელაპარაკებოდა.
2. ქორწინება-განქორწინების ....................... ყველა ინფორმაცია საჯარო რეესტრს აქვს.
3. მეუღლის გარდაცვალების ........................ მემკვიდრეობა ჩემს ხელში გადმოვიდა.
4. კანონის .................................. მოქმედება კანონითვე ისჯება.

5. დაურეგისტრირებელი ქორწინების ............... ბევრი პრობლემა შემექმნა.

6. არასრულწლოვანების ........... ქორწინების უფლება არა მაქვს.

7. მისი შვილის ავადმყოფობის .................... გვიან გავიგე.

8. შვილები მშობლების აზრს ხშირად ემორჩილებიან და მათ ..................... ვერ მიდიან.

### 3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

**ხმა გაკმინდა** — სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.

**ხმა მისცა** — ვიღაც ან რაღაც აირჩია.

**პირში წყალი დაიგუბა** — გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.

**სიტყვა პირზე შეაშრა** — უეცრად ვეღარაფერი თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...)

***ნიმუში:*** შემეშინდა, ბავშვისთვის არაფერი ეთქვათ და **ხმა გავკმინდე.**

1. .........................................................................................................

[ხმა მისცა]

2. .........................................................................................................

[პირში წყალი დაიგუბა]

3. ............................................................................................................

[სიტყვა პირზე შეაშრა]

### 3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

ზაფხულის ცხელი დღე იდგა, ისეთი ცხელი, ადამიანი ოფლად რომ იღვრება. სოფლის გზაზე ერთ კაცსაც ვერ დაინახავდით. მხოლოდ პატარა მურია დარბოდა ეზოში და გაუთავებლად ყეფდა, დადარდიანებულ ბებოს მოსვენებას არ აძლევდა. უცებ მურიამაც ............................................... და ხის ჩრდილში წამოწვა. მოხუცი თავის სატკივარზე ფიქრობდა: წინა საღამოს მეზობლის ბიჭს თხის ქურდობაზე წაასწრო, გაოცებულს ხილით სავსე კალათა ხელიდან გაუვარდა და .............................. .............................., არაფერი უთქვამს.

— განა ეგ არის სამართალი?! — ამბობდა თავისთვის, — ამისთანა დედის შვილი და ქურდი?! საჭმელი არ აკლია და სასმელი! როგორ ვუთხრა მაგის დედას, იქნებ აჯობებს ............................................... და საწყალ ქალს შავი დღე არ დავუყენოო?!

# თავი VI
# შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები

## ნაწილი 1

## დამსაქმებელი და დასაქმებული

### 1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. ------------------------------- | ეწოდება ძირითად, უმთავრეს უფლებას. |
| 2. ------------------------------- | არის პირი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობს. |
| დამსაქმებელი | 3. ------------------------- |
| შინაგანაწესი | 4. ------------------------- |
| 5. ------------------------------- | ეწოდება უფლებების შემცირებას. |

### 1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | ნანა მახარაძემ სამსახური დიდი ხანია დაიწყო. | | √ |
| 1 | შრომის უფლება ადამიანის ძირითადი უფლება არ არის. | | |
| 2 | შრომით ურთიერთობებს კანონი არეგულირებს. | | |
| 3 | ადამიანს აქვს უფლება თავისი სურვილით შეცვალოს შრომითი ურთიერთობები. | | |
| 4 | დასაქმებული ვალდებულია დაიცვას შინაგანაწესი. | | |
| 5 | შინაგანაწესი არ ადგენს სამუშაო დროს. | | |
| 6 | დასაქმებული პირი დამსაქმებელთან შრომით ხელშკრულებას აფორმებს. | | |
| 7 | შრომითი ურთიერთობის მონაწილე პირი შეიძლება გახდე 17 წლიდან. | | |
| 8 | არასრულწლოვანის შრომა არ უნდა ზღუდავდეს განათლების უფლებას. | | |
| 9 | არასრულწლოვან პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება არ შეიძლება. | | |

**1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ვ]:**

***ნიმუში:*** შეზღუდვა ....*ბ*.....

ბ. რომელიმე უფლების ხელშეშლა, მაგალითად, განათლებისა.

1. შრომის უფლება ...........
2. შრომითი ურთიერთობები ...........
3. შინაგანაწესი ...........
4. დასაქმებული ...........
5. შრომითი ხელშეკრულება ...........
6. არასრულწლოვანი ............

ა. ასრულებს ხელმძღვანელის მითითებებს.

ბ. მას ადგენს დამსაქმებელი.

გ. ის აწესრიგებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას.

დ. ის ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.

ე. არ უნდა მუშაობდეს კვირაში 36 საათზე მეტს.

ვ. ის ფორმდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

**1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!**

| N | რას იზამს? | როგორი? |
|---|---|---|
| | დაასაქმებს | დასაქმებ**ული** |
| 1 | გაანათლებს | |
| 2 | დააოჯახებს | |
| 3 | დაიწყებს | |
| 4 | დაარეგულირებს | |
| 5 | დაიცავს | |
| 6 | განსაზღვრავს | |
| 7 | შეამოწმებს | |
| 8 | გააფორმებს | |
| 9 | დააწესებს | |

| | | |
|---|---|---|
| 10 | მიაყენებს | |
| 11 | შეზღუდავს | |

### 1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** დამსაქმებელი ....*დასაქმებულ პირს*... ყოველთვის უხდის ხელფასს. [დასაქმებული პირი]

1. ...................................................................... სწორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. [განათლებული ადამიანი]
2. .................................................................. თავისი ვალდებულებები კარგად უნდა ესმოდეს. [დაოჯახებული მამაკაცი]
3. აუცილებლად გავაგრძელებთ თქვენ მიერ ..................................................... [დაწყებული საქმე]
4. კონსტიტუციით ......................................................... მუხლების შეცვლა აღარ დასჭირდება. [დარეგულირებული კანონები]
5. შრომითი ხელშეკრულებით ............................................................... დირექტორი სამსახურიდან ადვილად ვერ გაათავისუფლებს. [დაცული პირი]
6. სახელმწიფო სამსახურები ................................................................ მოქმედებენ. [განსაზღვრული წესები]
7. სასამართლო პროცესზე მათ ............................................................ მოტანა მოსთხოვეს. [შემოწმებული საბუთი]
8. ................................................................ ნაცვლად გაუფორმებელი მომიტანეს. [გაფორმებული დოკუმენტი]
9. არ ვიცი, ვინ აანაზღაურებს .................................................. [მიყენებული ზიანი]
10. ......................................................... გამო გაფიცვის მოწყობას ვაპირებთ. [შეზღუდული უფლებები]

### 1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ სინონიმებად!

ჩქარა, გონება, ბაბუა, ბინძური, გარდაიცვალა, ღარიბი, ბრძანეთ, მეფე, მტყუანი, ეშმაკი, მალე, მოკვდა, მონარქი, უქონელი, პაპა, ცბიერი, თქვით, ჭკუა, ჭუჭყიანი, მატყუარა.

***ნიმუში:*** მეგობარი — ძმაკაცი.

| | |
|---|---|
| 1. ............................................ | 6. ............................................ |
| 2. ............................................ | 7. ............................................ |
| 3. ............................................ | 8. ............................................ |
| 4. ............................................ | 9. ............................................ |
| 5. ............................................ | 10. ............................................ |

## 1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** *...ამისთანა პატიოსან ....* კაცს კანონების ცოდნა არც სჭირდება. [ამისთანა პატიოსანი]

1. ...................................... ადამიანს სამსახურს ვერც დააწყებინებ. [ამნაირი უუნარო]
2. ...................................... თანამშრომელთა უფლებებს დავარღვევთ. [ამგვარი შინაგანაწესი]
3. მე ...................................... არც ვენდობოდი. [მაგისთანა მეზობელი]
4. ჩვენს ორგანიზაციაში მალე ................................ დააწესებენ, რომ ვეღარავინ დააგვიანებს. [იმგვარი შეზღუდვები]
5. .................................................. მქონე იურისტს ვერსად ნახავთ. [ამგვარი გამოცდილება]
6. თანამშრომელთა .................................................. ყოველთვის მოსდევს საერთო პროტესტი. [ამისთანა დაჩაგვრა]
7. ................................................ ადგილი ციხეშია. [მაგგვარი დამნაშავეები]
8. თქვენ ........................................ შესახებ მესაუბრებით, კომენტარს ვერ გავაკეთებ. [იმისთანა საქმე]
9. ............................................. გამო შეიძლება უფრო ცუდი შედეგი მიიღოთ. [ამგვარი დაუსჯელობა]
10. საკუთარ მშობლებს ............................................. არ აყენებენ. [ამნაირი ზიანი]

## 1.8. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

| N | რა? | როგორი? |
|---|---|---|
| | შრომა | შრომ**ით**ი |
| 1 | იძულება | |
| 2 | მოხსენება | |
| 3 | შედარება | |
| 4 | განმეორება | |
| 5 | დამატება | |
| 6 | დაწყება | |
| 7 | აღმზრდელობა | |
| 8 | შემთხვევა | |

## 1.9. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** *...თქვენს მოხსენებით ბარათებს ხვალინდელ სხდომაზე განვიხილავთ...*
[მოხსენებითი ბარათები]

1. ..................................................................................................................................................
[იძულებითი ღონისძიებები]

2. ................................................................................................................................................
[განმეორებითი გამოცდები]

3. ..................................................................................................................................................
[დამატებითი ინფორმაცია]

4. ..................................................................................................................................................
[დაწყებითი სკოლები]

5. ..................................................................................................................................................
[წერილობითი დოკუმენტები]

6. ..................................................................................................................................................
[შემთხვევითი მოვლენები]

## 1.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები; უპასუხეთ კითხვებს: *როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?*

***ნიმუში:*** დილის *...ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე...* ქუჩაში ვიდექი და შენ გელოდებოდი. [ცხრა საათი — თერთმეტი საათი]

1. .................................................................... შეუსვენებლად ვიმუშავე. [გაზაფხული — შემოდგომა]

2. დღეს დიდხანს მოგიწევთ ლოდინი, ................................................ არ მცალია. [სამი — ხუთი]

3. ასეთ პატარა ბავშვს .................................................................. საბავშვო ბაღში ვერ დავტოვებ. [დილა — საღამო]

4. ........................................................... ახალი გზა უნდა გაიყვანონ. [თბილისი — ქუთაისი]

5. ჩვენი ................................................................ ავტობუსის დანიშვნას აპირებენ. [სოფელი — ბოლნისი]

6. არ ვიცი, ასეთი ავტომობილით როგორ მოძრაობთ ............................................... [ქალაქი — ქალაქი]

7. თედომ ......................................................... სოფელში იცხოვრა. [13 წელი — 17 წელი]

8. მთავარი ....................... ჩემ .............................. პატარა მანძილია. [გზა — სახლი]

# ნაწილი 2

## შრომის ხელშეკრულება

### 2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | დადგენილზე მეტი სამუშაო, რომელიც დამატებით ანაზღაურდება. |
| 2. -------------------------------- | უნდა შედგეს ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე. |
| დამატებითი ანაზღაურება | 3. --------------------------- |
| შვებულება | 4. -------------------------- |
| 5. -------------------------------- | ქალი, რომელიც შვილს თავის რძეს აჭმევს. |

### 2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით:

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | შრომითი ხელშეკრულება შეიძლება იყოს ზეპირიც. | √ | |
| 1 | თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტი ხანი გაგრძელდა, მაშინ წერილობითი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. | | |
| 2 | შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ძირითადი უფლებები. | | |
| 3 | თუ შრომითი ხელშეკრულების ენა დამსაქმებელს არ ესმის, ის უნდა ითარგმნოს. | | |
| 4 | კვირაში შეიძლება 51 საათიც ვიმუშაოთ. | | |
| 5 | ზეგანაკვეთური მუშაობის შემთხვევაში დასაქმებულს დამატებითი ანაზღაურება არ ეკუთვნის. | | |
| 6 | ღამის სამუშაოებზე შეიძლება ბავშვების დასაქმებაც. | | |
| 7 | მეძუძურ დედას დამატებითი შესვენების უფლება აქვს. | | |
| 8 | დასაქმებულს შვებულება 12 თვის მუშაობის შემდეგ ეკუთვნის. | | |
| 9 | შვებულების გამოყენების უფლება მხოლოდ ერთიანად გვაქვს. | | |
| 10 | ბავშვის მოვლის გამო ორსულებს დამატებითი შვებულების აღების უფლება არა აქვთ. | | |

## 2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

***ნიმუში:*** შეთანხმების ზეპირი ფორმა ....დ.....
დ. სიტყვიერი შეთანხმება.

1. შეთანხმების წერილობითი ფორმა ...........
2. შრომითი ხელშეკრულება ...........
3. დამატებითი სამუშაო ...........
4. დასაქმება ...........
5. ანაზღაურება ...........

ა. ეწოდება დასაქმებულის მიერ 40 საათზე მეტი სამუშაოს შესრულებას.
ბ. არის წერილობით შედგენილი ხელშკრულება.
გ. ის იურიდიულად აწესებს სამუშაო დროს.
დ. ის ხელფასის გადახდას ნიშნავს.
ე. ჰქვია დასაქმებულის აყვანას სამუშაოდ.

## 2.4. უპასუხეთ კითხვას *როგორ?* და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

**ა.**

| N | როგორი? | როგორ? |
|---|---|---|
| | ზომიერი — › | ზომიერ**ად** |
| 1 | სამართლიანი — › | |
| 2 | კანონიერი — › | |
| 3 | ვალდებული — › | |
| 4 | სრული — › | |
| 5 | ხშირი — › | |
| 6 | იშვიათი — › | |
| 7 | მართებული — › | |

**ბ.**

| N | როგორი? | როგორ? |
|---|---|---|
| | უსამართლო — › | უსამართლო**დ** |
| 1 | უკანონო — › | |

| | | |
|---|---|---|
| 2 | უზომო — › | |
| 3 | სავალდებულო — › | |
| 4 | მოკლე — › | |
| 5 | მარჯვე — › | |
| 6 | ფართო — › | |
| 7 | უმართებულო — › | |

**მართებული** — იგივეა, რაც სწორი.

**უმართებულო //არამართებული** — იგივეა, რაც არასწორი.

### 2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა; დაუსვით კითხვა *როგორ?*

***ნიმუში:*** ეს საქმე …*მართებულად* … უნდა გადავწყვიტოთ. [მართებული]

1. ახალგაზრდა კაცი …………………………………… საუბრობდა. [სამართლიანი]
2. ის ………………………………. იყო დაკავებული, ამიტომ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. [უკანონო]
3. თავს ………………………………. ვგრძნობდი, რომ თანამშრომლისთვის დახმარება გამეწია. [ვალდებული]
4. ასეთ ხელშეკრულებებს ……………………… ვაფორმებ. [იშვიათი]
5. ჩემი ძველი დირექტორი ………………………… მომექცა. [უსამართლო]
6. ამ კანონში …………………… ბევრი მუხლის შეტანა უნდათ. [უზომო]
7. პატარა ბიჭი ……………………… ჭრიდა შეშას და ლამაზად აწყობდა. [მარჯვე]
8. სასამართლოს კარი ………………………… გაიღო და ოთახში ბრალდებული შემოიყვანეს. [ფართო]
9. …………………… დავდივარ ბაზარში, პროდუქტს მაღაზიაში არ ვყიდულობ. [ხშირი]
10. თქვენ სამსახურში აღდგენა ………………………… გსურთ! [უმართებულო]

### 2.6. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: *გამდიდრებულა, დასახლებულა, დასაქმებულა!*

| | | |
|---|---|---|
| ***ნიმუში:*** | მე მოვტყუებულვარ | ჩვენ მოვტყუებულვართ |
| | შენ მოტყუებულხარ | თქვენ მოტყუებულხართ |
| | ის მოტყუებულა | ისინი მოტყუებულან |

მე გავმდიდრებულვარ ჩვენ ..........................................

შენ .......................................... თქვენ ..........................................

ის .......................................... ისინი ..........................................

მე დავსახლებულვარ ჩვენ ..........................................

შენ .......................................... თქვენ ..........................................

ის .......................................... ისინი ..........................................

მე დავსაქმებულვარ ჩვენ ..........................................

შენ .......................................... თქვენ ..........................................

ის .......................................... ისინი ..........................................

**ბ) გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები:** ***დავქორწინებულვარ, დარეგისტრირებულხარ, გადაწყვეტილა, შექმნილა, დასაქმებულა!***

1. გუშინ საჯარო რეესტრში ხომ არ .................................................... ?
2. თქვენი საკითხი კრებაზე ......................................, ამიტომ განცხადების დაწერა საჭირო აღარ არის.
3. გასულ წელს სამი არასამთვრობო ორგანიზაცია .................................. .
4. ჯერ არასრულწლოვანი ვარ, ამიტომ არ .................................................... .
5. ახალ იურიდიულ ფირმაში 14 კაცი .......................................... .

## 2.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები!

***ნიმუში:*** ისე არ ...*გავმდიდრებულვარ*..., რომ ასეთი ძვირიანი ნივთი შევიძინო. [გამდიდრება; რა მიქნია?]

1. თურმე თქვენ უკვე .................................... და ჩემთვის არ გითქვამთ. [დასაქმება; რა გიქნიათ?]
2. ეს ყმაწვილი ორჯერ ......................................, მე კი არ ვიცოდი. [გასამართლება; რა უქნია?]
3. როგორი კარგი ადამიანი ............................ [ყოფნა; რა უქნია?]
4. ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა, გილოცავთ, თურმე შარშან .................................... [დაოჯახება; რა გიქნიათ?]
5. ეს წესები ჯერ არ ......................................, ამიტომ სხდომაზე ნუ გავიტანთ! [დარეგულირება; რა უქნია?]
6. ძალიან .........................................., ჩემო მეგობარო! [მოტყუება; რა გიქნიათ?]
7. თქვენი უფლებები ისე არ .........................................., რომ პროტესტი გამოთქვათ! [შეზღუდვა; რა უქნია?]

8. ეს ქალბატონი სამსახურში უკვე ………………………………, ამიტომ საბუთები აღარ მჭირდება. [გაფორმება; რა უქნია?]

9. ფინანსური პოლიციის მიერ ეს ორგანიზაცია არ …………………………………………… [შემოწმება; რა უქნია?]

10. ნიკო პაპა ჩემს მეზობლად …………………………………………… [დასახლება; რა უქნია?]

## 2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით *უნდა!*

***ნიმუში:*** სასურველია ჩაწეროთ, რომელ ენაზე …*გინდათ* …. ისწავლოთ ეს საგანი.

1. რა დამატებითი უფლება ………………. ჰქონდეს მეძუძურ დედას?
2. …………….. ხვალიდან უხელფასო შვებულება გამიფორმონ.
3. …………………………… მიბრძანდეთ ჩვენს ოფისში და ხელშეკრულებას იქ გაგიფორმებენ!
4. თქვენ ………………….. დაგვიანებისათვის პასუხი არ მოგთხოვონ?!
5. დასაქმებულის პოზიციები ჩვენ ……………… დავიცვათ.
6. შრომითი ხელშეკრულება იურისტმა …………….. შეადგინოს და არა თქვენ.
7. განცხადებით დირექტორს ………………. მიმართოთ და დამატებითი ანაზღაურება მოითხოვოთ!
8. მათ …………………….. ასე უსამართლოდ მოექცნენ ყველა დასაქმებულს?!
9. ორგანიზაციის ხელმძღვანელს ………….. მიმართოთ და პასუხიც მისგან გაიგოთ!
10. ორშაბათიდან სამსახური ……………. დავიწყო, ამიტომ საბუთებს ვაგროვებ.

## 2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

***ნიმუში:*** მაინტერესებს, ახალ სამსახურში …*იმავე ანაზღაურებას*… იღებთ თუ არა?! [იგივე ანაზღაურება]

1. ხვალ მოსამართლეს ……………………………………………. აჩვენებთ. [იგივე ხელშეკრულება]
2. ეს სამსახური ………………………… მოითხოვს, ამიტომ თავს დავანებებ. [იგივე დრო]
3. ………………………………… კარგად ამიხსნა, რომ ხვალ საჯარო რეესტრში უნდა მივიდე. [იგივე იურისტი]
4. კვლავ ……………………………………… ბრალდებებზე მესაუბრებით? [იგივე პირი]
5. ისევ მატყუებთ და ………………………………… მესაუბრებით. [იგივე ფრაზები]
6. ………………………………………. დაადასტურა ჩემი უდანაშაულობა. [იგივე მოწმე]

7. ............................................ თხუთმეტ რიცხვში გაიმართება სასამართლო პროცესი. [იგივე თვე]

8. ........................................ გამო თავს დიდხანს ვიმართლებდი. [იგივე ბავშვი]

**2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით:** ***ერთი მხრივ, ..........., მეორე მხრივ,......!***

***ნიმუში:*** *...ერთი მხრივ, სამუშაო საათების რაოდენობა შეამოწმეთ და, მეორე მხრივ, ანაზღაურების საკითხს გადახედეთ!...*

1. ........................................................................................................................................................

2. ........................................................................................................................................................

3. ........................................................................................................................................................

4. ........................................................................................................................................................

5. ........................................................................................................................................................

## ნაწილი 3

## შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, გაფიცვა

**3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

| სიტყვა / შესიტყვება | მისი მნიშვნელობა |
|---|---|
| 1. -------------------------------- | ეწოდება რომელიმე დაწესებულებაში მომუშავე ადამიანთა ერთიანობას. |
| 2. -------------------------------- | არის სხვა პირთან ან პირებთან ერთად მომუშავე. |
| სამსახურის გაცდენა | 3. -------------------------- |
| შრომისუუნარო | 4. ------------------------- |
| 5. -------------------------------- | ის შეიძლება იყოს ერთი თვის ხელფასის ოდენობაც. |

### 3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ √ –ით!

| N | | სწორი | არასწორი |
|---|---|---|---|
| | რიგითი თანამშრომელი შეიძლება გახდეს დირექტორი. | √ | |
| 1 | დირექტორი მთელ კოლექტივზე აგებს პასუხს. | | |
| 2 | თუ თანამშრომელი უპასუხისმგებლოა, მას შეიძლება შეუწყვიტონ შრომითი ხელშეკრულება. | | |
| 3 | დამსაქმებელს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არა აქვს. | | |
| 4 | შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი არ არის ხანგრძლივი ავადმყოფობა. | | |
| 5 | ერთი კვირის ავადმყოფობის გამო თანამშრომელს სამსახურიდან ვერ გაათავისუფლებენ. | | |
| 6 | თანამშრომელს 30 დღით ადრე უნდა გაეგზავნოს შეტყობინება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. | | |
| 7 | დასაქმებულს უფლება არა აქვს წერილობითი დასაბუთება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის გამო. | | |
| 8 | დასაქმებულს აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. | | |
| 9 | დასაქმებულს გაფიცვის უფლება კანონით არა აქვს. | | |

### 3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

***ნიმუში:*** რიგითი თანამშრომელი ….დ…..

დ. ჩვეულებრივი მომუშავე, არახელმძღვანელი პირი.

1. დირექტორი ………..
2. უპასუხისმგებლო ადამიანი ………..
3. ხელშეკრულების შეწყვეტა ………..
4. წერილობითი შეტყობინება ………..
5. გაფიცვა ………..

ა. ჰქვია ისეთ ადამიანს, რომელსაც არა აქვს პასუხიმგებლობის უნარი, მაგალითად, ხშირად აგვიანებს სამსახურში.

ბ. ინფორმაცია, რომელიც დაწერილია, წერილობითი ფორმა აქვს.

გ. პროტესტის ფორმა, როცა დასაქმებული უარს ამბობს შრომით ვალდებულებებზე.

დ. რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელი პირი.

ე. ამისი უფლება მხოლოდ ხელმძღვანელ პირს აქვს, მაგალითად, დირექტორს.

### 3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა *თავისი* მხოლობითის ან მრავლობითის ფორმით!

***ნიმუში:*** დირექტორმა ...*თავის*... თანამშრომელს დაგვიანებისათვის მისცა შენიშვნა.

1. დასაქმებულებმა ............................ შრომითი ხელშეკრულების შეცვლა მოითხოვეს.
2. მოქალაქეები .............................. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო პროტესტს გამოთქვამენ.
3. იცოდეთ, რომ ქალბატონმა ნინომ ..................... უპასუხისმგებლობის გამო დაიმსახურა საყვედური.
4. ჩვენმა იურისტებმა ........................ რეკომენდაციები წარუდგინეს საქართველოს პარლამენტს.
5. არასამთავრობო ორგანიზაციები ორშაბათს მოგვიტანენ ........................... დასკვნებს.
6. სახალხო დამცველმა ......................... ანგარიში ხვალ უნდა გამოაქვეყნოს.
7. მხარეებმა .................. პოზიციები კარგად უნდა დაიცვან.
8. ეკონომიკის მინისტრმა .................. ვიზიტის შესახებ გვიამბო.
9. მას შეუძლია ............... შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოში გაასაჩივროს.
10. ამ ორგანიზაციაში დასაქმებულმა პირებმა შეიძლება ........... ხელმძღვანელს მიმართონ.

### 3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნა *შეუძლია!*

***ნიმუში:*** თქვენ ...*შეგიძლიათ*... ეს მოთხოვნა სასამართლოში გააგზავნოთ.

1. მას ......................... მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის ვალდებულებებს.
2. მე და ჩემს მეგობრებს ხვალიდანვე ....................... გავემგზავროთ ევროპაში.
3. ასეთ შემთხვევაში დირექტორს ................... თქვენ საყვედური მოგცეთ!
4. ამ ავტომობილს მძიმე ტვირთის გადატანა არ ............................
5. იქნებ მითხრათ, თქვენ .......................... ასე მარტივად დავის მოგვარება?!

6. ჩვენს გუბერნატორს მხოლოდ ერთი თვის ხელფასის დამატებით გაცემა .........................

7. მათ არ .............................. უკანონო გადაწყვეტილების მიღება.

8. თქვენ რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ............................?!

### 3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

***ნიმუში:*** *...თანამშრომლის წინაშე თავი დამნაშავედ ვიგრძენი...* [თანამშრომლის წინაშე]

1. .......................................................................................................................................

[ჩვენ წინაშე]

2. .......................................................................................................................................

[მათ მიერ]

3. .......................................................................................................................................

[ქვეყნის წინაშე]

4. .......................................................................................................................................

[მოქალაქის მიერ]

5. .......................................................................................................................................

[მეგობრის წინაშე]

### 3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით:

***ა) ჯერ .................. მერე// შემდეგ//შემდგომ......................***

***ბ) ჯერჯერობით***

